საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აკაკი წერეთლის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2016 წლის ანგარიში

ქუთაისი
2017

სსიპ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის საქმიანობის ანგარიში

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა 2016 წელს წარიმართა შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

1. ხარისხის განვითარებისა და გარე შეფასების მექანიზმების გაუმჯობესების პროცესებში მონაწილეობა;
2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება;
3. პროფესიული განათლების სეგმენტის გაძლიერება და ხარისხის უზრუნველყოფა;
4. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება;
5. ინტერნაციონალიზაცია;
6. მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ შეხვედრებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში;
7. სხვა საქმიანობა.

უნივერსიტეტში განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ყოველდღიური საქმიანობა და უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა პირის პასუხისმგებლობაა.

მნიშვნელოვანია, რომ აწსუ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი.

წარმატებები მხოლოდ ერთობლივი მუშაობითა და ძალისხმევით მიიღწევა.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

1. ხარისხის განვითარებისა და გარე შეფასების მექანიზმების გაუმჯობესების პროცესებში მონაწილეობა

- განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ წარმოდგენილი „განათლების სფეროების კლასიფიკატორის“ პროექტის განხილვა, რეკომენდაციებისა და შენიშვნების წარდგენა.

  წარმოდგენილი პროექტი განსაზღვრავს განათლების სფეროების მიმართულებებს და ადგენს საგანმანთლებლო პროგრამების კლასიფიცირების პრინციპებს. კლასიფიკატორი ეყრდნობა უნესკოს მიერ დამტკიცებულ “განათლების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციის” (ISCED) და “განათლებისა და ტრენინგის სფეროები 2013 - დეტალური სფეროების აღწერა” (FoET-2013) დოკუმენტებს.

  აწსუ-ს ხუს-მა კოორდინირება გაუწია წარმოდგენილი დოკუმენტების ფაკულტეტებზე განხილვასა და მიღებული რეკომენდაციების წარდგენას სამინისტროში, მონაწილეობა მიიღო დარგობრივი საკონსულტაციო შეხვედრების მუშაობაში.

- აწსუ-ს ინიციატივა - რეგიონული უნივერსიტეტებისა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (30-31 აგვისტო, 2016).

  შეხვედრაზე განხილულ იქნა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #3 ბრძანების მოთხოვნები, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტები, კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ცვლილებები.

- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტები და შეფასების პრინციპი“ განხილვა, კომენტარებისა და მოსაზრებების წარდგენა.

  წარმოდგენილი დოკუმენტი მოიცავს ავტორიზაციის შვიდ სტანდარტს: 1) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება; 2) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; 3) საგანმანათლებლო პროგრამები; 4) უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პერსონალი; 5) სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; 6) კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; 7) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

  აწსუ-ს ხუს-ის მიერ განხილულ იქნა სტანდარტებისა და ქვე-სტანდარტების აღწერა, შეფასების კრიტერიუმები და ინდიკატორები. შემუშავდა და წარდგენილ იქნა შესაბამისი კომენტარები და მოსაზრებები.

2. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება

ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა უნივერსიტეტის განვითარებისთვის საჭირო დაგეგმვის, შეფასების, მართვისა და მონიტორინგის განუყოფელი ნაწილია. მიმდინარე ეტაპზე აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა მიმართულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელებისაკენ ყველა რგოლის ეფექტური ჩართულობით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ციკლური პროცესის ("დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე") სახით, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება.

დეცენტრალიზაცია - საერთო პოლიტიკა და ხედვები, ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განვითარება თავისებურებების გათვალისწინებითა და ავტონომიურობის დაცვით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა ეფუძნება საერთო პოლიტიკისა და ხედვების განსაზღვრას, რომლის საფუძველზეც ხარისხის შიდა უზრუნველყოფის პროცესის განვითარება მიიღწევა თითოეული ფაკულტეტის თავისებურებების გათვალისწინებითა და მისი ავტონომიურობის დაცვით, რომელიც გულისხმობს დამოუკიდებლობას შეთანხმებულ ფარგლებში.

2016 წელს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა შეასრულეს სამუშაოები ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პროცედურების სრულყოფის, საგანმანათლებლო საქმიანობის შიდა შეფასების დაგეგმვის, განვითარებისა და განხორციელების მხრივ. გამოიყენეს ხარისხის მონიტორინგისა და შიდა შეფასების ინსტრუმენტები: სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონიტორინგი, მიღებული შედეგების ანალიზი და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა გააძლიერეს თანამშრომლობა და კოორდინირებული მოქმედება ფაკულტეტის საბჭოსთან, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელებთან, დარგობრივ დეპარტამენტებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, სხვა დაინტერესებულ მხარეებთან. შესაბამისი ანგარიშები წარდგენილია აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

„**ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:**

ა) რეგულარულად აფასებს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;

ბ) ახორციელებს აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ღონისძიებებს.

გ) თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის მონიტორინგის და უზრუნველყოფის სრულყოფილი მეთოდოლოგიის ჩამოსაყალიბებლად;

დ) ამზადებს უნივერსიტეტს ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის.

3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ანგარიშვალდებულია აკადემიური საბჭოს წინაშე."

აწსუ-ს წესდება, დამტკიცებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N 132/ნ, 2013 წლის 9 სექტემბერი, ქ. თბილისი.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასების (მონიტორინგის) გეგმა-გრაფიკისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება

2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების ეფექტური გამოყენების მიზნით შეიმუშავა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასების სარეკომენდაციო გეგმა-გრაფიკი (ცხრ. 1). აღნიშნული სამუშაო დოკუმენტი განხილულ იქნა ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, მათთვის მისაღები ადაპტირებული ვარიანტი დამტკიცებულ იქნა შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოზე.

ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობები (სტუდენტთა გამოკითხვა, აკადემიური მოსწრების ანალიზი და ა.შ) განხილულ იქნა ფაკულეტეტის საბჭოებზე და დასახულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები. კოორდინირებული მუშაობის გაძლიერების მიზნით ფაკულტეტის საბჭოზე განხილულ და დამტკიცებულ იქნა სტუდენტთა გამოკითხვის ფორმები და კითხვარები.

შედეგად, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა თავიანთი მუშაობა წარმართეს შესაბამისი ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული სამოქმედო გეგმისა და შიდა შეფასების გეგმა-გრაფიკის მიხედვით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასების სარეკომენდაციო გეგმა-გრაფიკი

	აქტივობა	ჯერადობა	პერიოდი	შემსრულებელი
1.	სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, მონაცემთა ანალიზი	2-ჯერ სასწავლო წელიწადში	ზამთრის სემეტრის ანალიზი - მარტის თვე ზაფხულის სემეტრის ანალიზი - სექტემბრის თვე	აწსუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
2.	სტუდენტებისა გამოკითხვა სწავლების პროცესის შეფასების მიზნით	2-ჯერ სასწავლო წელიწადში	IX - XI ან XIV-XV სასწავლო კვირის განმავლობაში	აწსუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
3.	აკადემიური პერსონალის მიერ თვითშეფასების კითხვარის შევსება	1-ჯერ სასწავლო წელიწადში	მაისი-ივნისი ან სექტემბერი (გასული სასწავლო წლის მიხედვით)	აწსუ-ს აკადემიური და მოწვეული პერსონალი
4.	აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის ანალიზი	1-ჯერ სასწავლო წელიწადში	ივლისი ან ოქტომბერი	აწსუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
5.	კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და დასაქმების ანალიზი	2-ჯერ სასწავლო წელიწადში	ნოემბერი, აპრილი	აწსუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
6.	საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი	1-ჯერ სასწავლო წელიწადში	ოქტომბერი-ნოემბერი	პროგრამის ხელმღვანელები
7.	საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების შევსება და წარდგენა აწსუ-ს ხუს-ში	1-ჯერ სასწავლო წელიწადში	აპრილი-მაისი	პროგრამის ხელმღვანელები
8.	საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების რევიზია	1-ჯერ სასწავლო წელიწადში	მაისი	აწსუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
9.	ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის წლიური ანგარიშის მომზადება და წარდგენა	1-ჯერ სასწავლო წელიწადში	დეკემბერი	აწსუ-ს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურები
10.	აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების მიერ გაწეული მუშაობის წლიური ანგარიშის მომზადება და წარდგენა	1-ჯერ სასწავლო წელიწადში	იანვარი-თებერვალი	აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებები ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესის (“დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე - განავითარე”) გამოყენებით

2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შიდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების გამოყენების, გამოკითხვების, შეხვედრების, დისკუსიების, ფაკულტეტებიდან და სხვა სამსახურებიდან მიღებული მონაცემების კომპლექსური შეფასებების შედეგებზე დაყრდნობით დაგეგმა და განახორციელა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების ღონისძიებები.

ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესის გამოყენება

უცხო ენების სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებები

2016 წლის აპრილში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომაზე მოსმენილ იქნა ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის წარმომადგენლების ინფორმაცია შიდა შეფასების შედეგების შესახებ (ხუს-ის სხდომის ოქმი № 9). აღინიშნა, რომ სტუდენტთა გამოკითხვისა და ტუტორებთან შეხვედრის შედეგად იკვეთება მათი სურვილი გავიდნენ უცხოური ენების სწავლების რეალურ შედეგებზე, მეტი კომპეტენციები შეიძინონ უცხო ენებთან დაკავშირებით. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებში უცხო ენებზე გამოყოფილია 15 კრედიტი. უცხო ენათა ცენტრი მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის მოწესრიგებაზე. შედეგები სახეზეა, თუმცა კიდევ ბევრია გასაკეთებელი. საყურადღებოა სტუდენტების მეცადინეობებზე დასწრების, მასწავლებლის მიერ ჟურნალების შევსების და მიმდინარე შეფასების საკითხი. სასწავლო პროცესში გასაუმჯობესებელია მიმდინარე შეფასების საკითხები, რაც დაკავშირებულია გაზომვადი სწავლის შედეგების დანერგვასთან. ეს გამოიწვევს სტუდენტთა აქტიურობისა და დასწრების ზრდას მეცადინეობებზე. დაიგეგმა შეხვედრები აღნიშნული საკითხის შესახებ უცხო ენათა ცენტრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან. 2016 წლის ივნისში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომაზე (ხუს-ის სხდომის ოქმი № 12) მოსმენილ იქნა უცხო ენათა ცენტრის ხელმძღვანელის ნ. ზვიადაძის ინფორმაცია საბაკალავრო პროგრამების უცხოური ენის სილაბუსებში შეფასების კომპონენტების ცვლილების შესახებ.



ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესის გამოყენება

შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი

სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებელი ღონისძიებების რიგში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია სწავლების და შეფასების თანამედროვე მეთოდების დანერგვა. 2015 წელს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგად, გამოვლინდა, რომ ლექტორ-მასწავლებელთა უმრავლესობა, თვითგანვითარებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებისათვის, ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად მიიჩნევს კვალიფიკაციის ამაღლებას სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების მხრივ.

2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროგრამების, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო საკითხების სილაბუსებით განსაზღვრულ თემატიკასთან კავშირის მონიტორინგი. ჩატარდა სასწავლო კურსების შემაჯამებელი გამოცდის საკითხების/ტესტების ფორმისა და შინაარსის შეფასება სასწავლო კურსის შედეგებთან შესაბამისობით. გაანალიზებულ იქნა შესაბამის სილაბუსებში წარმოდგენილ სწავლის შედეგების, შეფასების ფორმების, რუბრიკისა და კრიტერიუმების შესაბამისობა. ანალიზის შედეგებმა აჩვენა წინამდებარე გზამკვლევის შექმნის აუცილებლობა.

გზამკვლევში წარმოდგენილია სტუდენტის ცოდნის შეფასების მიზნები და ფორმები; განხილულია შეფასების სხვადასხვა მეთოდები და კრიტერიუმები, წარმოდგენილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანებით "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი" (2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებების გათვალისწინებით), მოცემულია რეკომენდაციები სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასების შესახებ და გაანალიზებულია უკუკავშირის, როგორც წარმატების მიღწევის მექანიზმის მნიშვნელობა.

ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესის გამოყენება
შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასების შედეგების ანალიზი - უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროგრამების, შუალედური და დასკვნითი საგამოცდო საკითხების სილაბუსებით განსაზღვრულ თემატიკასთან კავშირის მონიტორინგი.



ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესის გამოყენება

სტიპენდიების დანიშვნის წესის მოდერნიზება

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პირდაპირი ფუნქციაა შეისწავლოს და შეაფასოს აკადემიური მოსწრების, სწავლის შედეგებისა და შეფასების კრიტერიუმების ურთიერთმიმართებები, დასახოს სწავლების გაუმჯობესების ღონისძიებები. ერთ-ერთ საკითხია: როგორ უწყობს ხელს გაზარდოს სტუდენტის მოტივაცია საუნივერსიტეტო სტიპენდიების დანიშვნისა და განაწილების არსებული სისტემა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომებზე აღინიშნა, რომ სტიპენდიების გაცემის წესი საჭიროებს დახვეწას, სტიპენდიების გაცემისათვის უნდა არსებობდეს დამატებითი კრიტერიუმები, რომელიც ხელს უნდა უწყობდეს სტუდენტის მოტივაციას ჩაებას სამეცნიერო-კვლევით მუშაობაში და განახორციელოს კურიკულუმის გარეშე აქტივობები.

2016 წლის ოქტომბერში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეისწავლა უნივერსიტეტში სტიპენდიების დანიშვნის მოქმედი წესი, გაანალიზა არსებული სტატისტიკური მონაცემები, გააკეთა შედარებითი ანალიზი სხვადასხვა უნივერსიტეტებში არსებული სტიპენდიების დანიშვნის წესების შესწავლით.

შესაბამის ანალიზზე დაფუძნებული რეკომენდაციები დაეგზავნა აწსუ-ს ადმინისტრაციას და ფაკულტეტების ხელმძღვანელობას. მათგან მიღებული რეკომენდაციების გათვალისწინებით შემუშავდა აწსუ-ში სტიპენდიების დანიშვნის წესის პროექტი.

ხარისხის უზრუნველყოფის ციკლური პროცესის გამოყენება

სტიპენდიების დანიშვნის წესის მოდერნიზება



სწავლა/სწავლების ხარისხის ასამაღლებელი ღონისძიება

ურთიერთდასწრების გზით სასწავლო პროცესზე დაკვირვების ორგანიზება

ფაკულტეტის ხუს-ის უფროსებმა ფაკულტეტის საბჭოზე განიხილეს სასწავლო პროცესზე დაკვირვების მექანიზმები, შეიმუშავეს შესაბამისი ფორმები (ძლიერი მხარეებისა და რეკომენდაციების გამოვლენით), შეიქმნა სასწავლო პროცესზე დაკვირვების ჯგუფი და განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო პირველი კურსის სასწავლო პროცესზე დაკვირვებას, ჩაატარდა შეხვედრები და კონსულტაციები აკადემიურ პერსონალთან სწავლის ხარისხის გაუმჯობესების საკითხებზე, დარგობრივმა დეპარტამენტებმა შეიმუშავეს ურთიერთდასწრების გრაფიკი. აღნიშნული სამუშაოების საფუძველზე მიმდინარეობს კოლეგიალური ურთიერთდასწრებისა და შეფასების საუნივერსიტეტო წესზე მუშაობა.

პერსონალის გადამზადება

მასწავლებელთა გადამზადება (TT) / ტრენერთა ტრენინგი (TOT)

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დიდ ყურადღებას უთმობს პერსონალის გადამზადების ღონისძიებებს. მასწავლებელთა გადამზადებისა (TT) / ტრენერთა ტრენინგი (TOT)-სათვის ხუს-ი იყენებს საკუთარ რესურსებს და თანამშრომლობს სხვადასხვა ორგანიზაციებთან.

კონსულტაციების და ტრეინინგების ცენტრის (ctc) ტრენინგები აწსუ-ს ლექტორებისა და მასწავლებლებისათვის და მათი დისემინაცია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

კონსულტაციების და ტრეინინგების ცენტრის მიერ ჩატარდა ორი ტრენინგი:

1. ზრდასრულთა სწავლების მეთოდები - 23-25 თებერვალი, 15-17 მარტი, კურსი გაიარა 30-მდე ლექტორმა და მასწავლებელმა.

ზრდასრულთა სწავლების პროცესის ხარისხს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს პედაგოგის გამოცდილება სწორად შეარჩიოს ცოდნის ეფექტურად გადაცემის მეთოდები, მისი უნარი, დაეხმაროს სტუდენტებს ახალი უნარ-ჩვევების შემენაში და განვითარებაში, შექმნას სწავლისათვის ხელშემწყობი გარემო. <u>კურსის მიზანს წარმოადგენდა:</u> დაეხმაროს პედაგოგებს ზრდასრულთა სწავლების პრინციპებზე დაფუძნებით სწავლების პროცესის განვითარებაში და სასწავლო პროგრამების ეფექტურ განხორციელებაში.

2. გამოყენებითი კვლევა სასწავლო დაწესებულების მართვაში - 25-27 თებერვალი, კურსი გაიარა ადმინისტრაციის 15 წარმომადგენელმა.

სასწავლო დაწესებულების ეფექტური მართვა და მისი ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება, უპირველეს ყოვლისა, საჭიროებს ორგანიზაციისა და მისი სამოქმედო გარემოს შესწავლას. ამ მიზნისათვის გამოყენებითი კვლევა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას წარმოადგენს. სწორედ კვლევა უზრუნველყოფს მართველობით პროცესში სანდო მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას. <u>კურსის მიზანს წარმოადგენდა:</u> დაეხმაროს სასწავლო დაწესებულების პერსონალს გაიაზრონ გამოყენებითი კვლევის არსი და მისი განხორციელების კონკრეტული მექანიზმები ორგანიზაციის მართვის პროცესის გაუმჯობესებისათვის.

ინფორმაცია აღნიშნული ტრენინგების დისემინაციის შესახებ იხილეთ ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანდართულ ანგარიშებში.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ტრენინგები უნივერსიტეტის თანამშრომლებისათვის

2016 წლის ივნისში აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე:

1. ხარისხის კულტურა და ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი.
2. ცოდნის მენეჯმენტი აკადემიურ სივრცეში, საუნივერსიტეტო ცოდნის ანალიზი.
3. კურსის მონიტორინგი და ევროპული სტანდარტები.
4. განათლება მდგრადი განვითარებისათვის.

დაგეგმილ ტრენინგებზე ელექტრონული რეგისტრაცია გაიარა 62 თანამშრომელმა. მონაწილეებს გადაეცეთ შესაბამისი სერთიფიკატები. ყველა ტრენინგს დაესწრო ფაკულტეტის ხუს-ის უფროსები, მიღებული ინფორმაციისა და ცოდნის ფაკულტეტებზე გავრცელების მიზნით.

სწავლა/სწავლების ხარისხის ასამაღლებელი ღონისძიება

თანამშრომლობა უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის ფუნქციონირების გაუმჯობესებისათვის და საბაზისო ინფორმაციის ასახვისათვის

2016 წლის აპრილში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განიხილა უნივერსიტეტის ელექტრონული პორტალის ფუნქციონორების გაუმჯობესებისა და შესაძლებლობათა გაზრდის საკითხები. იმსჯელეს პორტალზე ხარისხის უზრუნველოფის სამსახურის უფლება-მოვალეობების წარმოჩენაზე და ასახვაზე.

2016 წლის სექტემბრისათვის პორტალზე განთავსებულ იქნა 2016-2017 სასწავლო წლისათვის დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამები. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებმა ნაყოფიერად ითანამშრომლეს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, გაავრცელეს ინფორმაცია არსებული პორტალის შესახებ და ხელი შეუწყვეს საჭირო საბაზისო ინფორმაციის შეტანას.

საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების მომზადება და წარდგენა განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში

ფაკულტეტის ხუს-ის უფროსებმა 2016 წლის მაისში წარმოადგინეს საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებები და შესაბამისი დანართების პაკეტი. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების სამსახურმა შეასრულა მათი განხილვა და რევიზირება.

საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება ასახავს ინფორმაციას პროგრამის მდგომარეობაზე საანგარიშო პერიოდში (2015 წლის მაისიდან 2016 წლის მაისამდე).

2016-2017 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების განახლება და აკადემიური საბჭოსათვის წარდგენა

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2016 წლის სექტემბერში აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა 2016-2017 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამები.
საგანმანათლებლო პროგრამებში განხორციელდა ცვლილებები, რომელიც ფორმირებულ იქნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესი" 2016.29.01 და 2016.18.08 ცვლილებები) გათვალისწინებით და ციკლური პროცესის ("დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე") გამოყენებით.
საუნივერსიტეტო მასშტაბით, ყველა საბაკალავრო პროგრამაში ცვლილება განიცადა უცხო ენის სილაბუსებმა, რომელიც გაუმჯობესდა დონეების მიხედვით სასწავლო ლიტერატურისა და შეფასების კომპონენტების ცვლილებით.
თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილება განხილულ იქნა დარგობრივ დეპარტამენტებზე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, ფაკულტეტის საბჭოს მიერ.





3. პროფესიული განათლების სეგმენტის გაძლიერება და ხარისხის უზრუნველყოფა

აწსუ-ს პროფესიული განათლების სუბ-სტრატეგიული გეგმის შემუშავება

პროფესიული განათლების მიმართულება აწსუ-ს სტრატეგიული ხედვის ერთ-ერთი პრიორიტეტია. პროფესიული განათლების სუბ-სტრატეგიის შემუშავება მოხდა კონსულტაციების და ტრეინინგების ცენტრის (ctc) დახმარებით. ჩატარდა სამუშაო შეხვედრები, პროფესიული განათლების სტრატეგიის შემუშავებაში ჩართული იყვნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტების ადმინისტრაციის წარმომადგენლები. ასევე შემუშავდა პროფესიული განათლების სუბ-სტრატეგიის განსახორციელებელი სამოქმედო გეგმა და მონიტორინგის მატრიცა.

პროფესიული განათლების სუბ-სტრატეგია ფოკუსირებულია შემდეგ ძირითად საკითხებზე: პროფესიული განათლების ადმინისტრირება, მოტივირებული სტუდენტების მოზიდვა, პერსონალის განვითარება, სასწავლო ინფრასტრუქტურის განვითარება, ინსტიტუციური პარტნიორების ქსელის გაფართოება.

უნივერსიტეტი იზიარებს პროფესიულ განათლებასა და მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს და ცდილობს შექმნას ღირსეული სწავლის შესაძლებლობები ყველა მსურველისათვის.

პროფესიული განათლების სექტორის განვითარება ხელს შეუწყობს უნივერსისტეტის როლის გაძლიერებას რეგიონისა და მთლიანად ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესებში და იმავდროულად განამტკიცებს დაწესებულების ინსტიტუციურ სიცოცხლისუნარიანობას.

2016 წლის 23 დეკემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა გამართა შეხვედრა პროფესიული რეფორმის მნიშვნელოვანი ეტაპის შედეგების შეჯამების, არსებულ გამოწვევებზე რეაგირების და რეფორმის სამომავლო ნაბიჯების განხილვის მიზნით.

ამ შეხვედრაზე **აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს გადაეცა სიგელი პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფისათვის შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის.**

მოდულური პროფესიული პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განვითარება და მათი დისემინაცია

მოდულური პროფესიული პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფისათვის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა შესაბამისი წესები და ინსტრუქციები, განავითარა ახალი და ინოვაციური მიდგომები, ამავდროულად აქტიურად თანამშრომლობდა მოდულური პროფესიული პროგრამების გარე მხარდაჭერის ჯგუფთან.

პროფესიული პროგრამების სექტორის ხელმძღვანელობით შეიქმნა

- მოდულური პროფესიული პროგრამების სარეკლამო ვიდეო-რგოლები
- პროფესიული პროგრამების პორტალი.

საანგარიშო პერიოდში საგაზაფხულო მიღებაზე ორი, ხოლო საშემოდგომო მიღებაზე რვა მოდულური პროფესიული პროგრამა ამოქმედდა. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერის ჯგუფი კოორდინირებას უწევს ფაკულტეტების შიდა მხარდაჭერის ჯგუფებს სასწავლო პროცესის წარმართვაში, ეხმარება პროფესიულ მასწავლებლს ელექტრონული საქაღალდის შექმნაში და ელექტრონული პორტალით სარგებლობაში.



პროფესიული განათლების ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით დეკანის მოადგილეებს დაევალათ პროფესიული პროგრამების დანერგვისა და განხორციელების მონიტორინგი და პროფესიული პროგრამების სექტორთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებთან კოორდინაცია.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსებმა კოორდინირება გაუწიეს შიდა მონიტორინგის ჯგუფის სამუშაოებს აწსუ-ში არსებული რეგულაციის შესაბამისად.

შესრულებელია შემდეგი სამუშაოები:

- შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნა (ბრძანება შიდა მონიტორინგის ჯგუფის შესახებ),
- პროგრამისათვის განკუთვნილი ფართების მზადყოფნა,
- კალენდარული გეგმის შედგენა,
- ცხრილისა და შეფასების ინსტრუმენტების გაწერა,
- შიდა მონიტორინგის ჯგუფის მიერ მეცადინეობებზე დასწრების განრიგის შედგენა.



ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები პროფესიული განათლების საკითხებზე

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა მიმართულია მაქსიმალურად შეუწყოს ხელი პროფესიული პროგრამების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებას და გადამზადებას.

2016 წელს უნივერსიტეტის თანამსრომლებისატვის ჩატარდა სხვადასხვა ტრენინგები და სამუშაო შეხვედრები:

- ტრენინგი „კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში“ - აწსუ, 5-7.09.2016, მასწავლებლის პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.

- ტრენინგი ,,კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემებში'' - აწსუ, 18-19.10.2016, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
- ტრენინგი „პროფესიული განათლების მასწავლებელთა ტრენინგი მოდულური სწავლების საკითხებში“ - აწსუ, 24-25.10.2016, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი.
- სამუშაო შეხვედრა მოდულური პროგრამის ხელმძღვანელებთან და შესაბამის პირებთან, რომლებიც თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ იმ პირებს, რომლებიც 2016 წლის შემოდგომიდან ჩართული იქნებიან მოდულური პროგრამების განხორციელებაში.




4. საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება

2016 წელს აწსუ-ში შემუშავდა და აკრედიტაცია/ავტორიზაციის ფარგლებში განხორციელების უფლება მიებიჭა 12 საგანმანათლებლო პროგრამას

ფაკულტეტებზე მომზადდა ახალი პროგრამები:

<u>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი</u>

- საბაკალავრო პროგრამა ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი);
- სამაგისტრო პროგრამა „კლასიკური ფილოლოგია“;
- სამაგისტრო პროგრამა „ფილოსოფია – რელიგიის კვლევები“;

<u>პედაგოგიური ფაკულტეტი</u>

- მასწავლებლის მომზადების ერთწლიანი საგანმანათლებლო პროგრამა;

<u>მედიცინის ფაკულტეტი</u>

- საბაკალავრო ინგლისურენოვანი პროგრამა „ფარმაცია“;
- საბაკალავრო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“;
- სამაგისტრო პროგრამა "ბიოსამედიცინო ინჟინერია";
- სამაგისტრო პროგრამა "საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა";
- სადოქტორო პროგრამა „ფარმაცია“;

<u>საინჟინრო - ტექნოლოგიური ფაკულტეტი</u>

მაინორ პროგრამები:

- ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი;
- მოდის დიზაინი;
- ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირება და ტექნოლოგია.

ფაკულტეტის ხუს-ებმა წარმოადგინეს პროგრამული პაკეტი ყველა საჭირო დოკუმენდაციით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომაზე განიხილეს აღნიშნული პროგრამების შიდა შეფასებისა და სააკრედიტაციოდ წარდგენის მზაობის საკითხები.

საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული ბაზების შექმნა

საგანმანათლებლო პროგრამების ელექტრონული ბაზების შექმნა და მისი მოქნილი ფუნქციების განვითარება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობის ერთ-ერთი მიმართულებაა.

მიმდინარეობს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების მართვადი ელექტრონული ბაზებისს შექმნა, რომელიც გამოყენებული იქნება შიდა შეფასებისა და მონიტორინგის ეფექტურად ჩატარებაში.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა წარმოადგენს სასწავ-ლო, კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის შიდა შეფასების სისტემას, რომელიც ხელმძღვანელობს „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონით, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის დებულებებით, უნივერსიტე-ტის წესდებით, სხვა ნორმატიული დოკუმენტებით და ხელს უწყობს უნივერსიტეტს სტრატეგიული მიზნე-ბისა და მისიის განხორციელებაში.

დღეისათვის აწსუ-ში აკრედიტებულ რეჟიმში მოქმედებს 45 საბაკალავრო, 57 სამაგისტრო, 33 სადოქტო-რო, 4 ერთსაფეხურიანი პროგრამა, 38 დამატებითი (მაინორ) პროგრამა, ასევე მასწავლებლის მომზადების (ერთწლიანი) და ქართულ ენაში მომზადების პროგრამები.

1. საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტების შიდა შეფასება - „ორმაგი ექსპერტიზა“

2016 წელს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა დაიწყო ფაკულტეტების მიერ წარმოდგენილი მოქმედი აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამების პაკეტების და მომზადებული ახალი (აკრედიტაციისათვის წარსადგენი) პროგრამების „ორმაგი ექსპერტიზა“, რაც გულისხმობს შეფასებას ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსების და აწსუ-ს იმ აკადემიური პერსონალის მიერ, რომლებიც ირიცხებიან განათლების ხარისხის განვითარების ცენტრთან არსებულ ექსპერტთა კორპუსში.

ფაკულტეტი	ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები (შიდა შეფასების ექსპერტები)
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი	ციცინო თურქაძე, ნანა ჯულაყიძე
ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი	პაატა გერაძე, ციცინო თურქაძე
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი	ნანა შონია, დოდო შელია
პედაგოგიური ფაკულტეტი	ინგა აბრამიძე, მარიეტა თაბაგარი
ჯანდაცვის ფაკულტეტი	ინგა აბრამიძე, ნანა შონია
საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტი	მამულო ბუჭუხიშვილი, ნანა ჯულაყიძე
საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტი	მამულო ბუჭუხიშვილი, მარიეტა თაბაგარი
აგრარული ფაკულტეტი	პაატა გერაძე, დოდო შელია

ახალი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასების და დამტკიცების სქემა



5. ინტერნაციონალიზაცია

აწსუ-ს დღევანდელი განვითარების პოლიტიკა მიმართულია ინტერნაციონალიზაციის ხარისხის გაზრდაზე, რაც გამოიხატება სხვადასხვა ქვეყნის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობით, „ერაზმუს+" პროგრამებში მონაწილეობით, საერთაშორისო კვლევების განხორციელებით, უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციების ჩატარებით, საზღვარგარეთ კონფერენციებზე მონაწილეობით და სხვა.

მონაწილეობა უმაღლესი განათლების ექსპერტთა სემინარში

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირმა გრძელიძე დაესწრო უმაღლესი განათლების ექსპერტთა გასვლით სემინარს, რომელიც გაიმართა 2016 წლის 6-7 თებერვალს, ყვარელში. სემინარი ჩატარდა ფონდების "ღია საზოგადოება - საქართველო" და "საერთაშორისო განათლების ცენტრის" ერთობლივი პროექტის "საჯარო დებატები საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე" ფარგლებში. აღნიშნულ სემინარზე განიხილეს შემდეგი საკითხები: ინტერნაციონალიზაცია და ხარისხიანი უმაღლესი განათლება; ინტერნაციონალიზაცია - კვიპროსის აღმოსავლეთ ხმელთაშუა ზღვის უნივერსიტეტის პერსპექტივები და მეცნიერების ინტერნაციონალიზაცია.

მონაწილეობა მე-10 საერთაშორისო კონფერენციაზე „საერთაშორისო ტექნოლოგიები, განათლება და განვითარება - INTED"

2016 წელს მე-10 საერთაშორისო კონფერენციაზე INTED (საერთაშორისო ტექნოლოგიები, განათლება და განვითარება) ქ. ვალენსიაში (ესპანეთი), უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ი. გრძელიძე, ნ. ალავიძე) მიერ წარდგენილ იქნა მოხსენება თემაზე „ხარისხის უზრუნველყოფის სტრატეგიების ჰარმონიზაცია საქართველოსა და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცეს (ENQA) შორის".

ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორის ტრენინგი „შედეგზე ორიენტირებული სწავლება, სწავლების ფილოსოფია"

2016 წლის 18 ივლისს აწსუ-ში ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორმა ჯორჯ ჯეფერსონმა ჩაატარა ტრენინგი „ შედეგზე ორიენტირებული სწავლება, სწავლების ფილოსოფია". ტრენინგი ჩატარდა ინგლისურ ენაზე, ესწრებოდა 38 აკადემიური პერსონალი.

ერაზმუს+-ის პროგრამის პროექტის „MAHATMA“ კონფერენცია

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა (ირმა გრძელიძე, ნატო ალავიძე) აქტიური მონაწილეობა მიიღო ქ. ერევანში (სომხეთი) გამართულ საერთაშორისო ფორუმში „როგორ გავხადოთ სწავლება და სწავლა ეფექტური“, რომელიც სომხეთის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სააგენტოს მიერ იყო ორგანიზებული.

განათლების ფორუმის მუშაობაში თემაზე - „საჯარო დებატები საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე“

2016 წლის მარტში (თბილისი) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ჩართული იყო განათლების ფორუმის მუშაობაში თემაზე - „საჯარო დებატები საქართველოში უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაციის საკითხებზე“.

მხარდაჭერა ინგლისურენოვანი პროგრამების შემუშავებაში

უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება და განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან მიმართულებას უნივერსიტეტის განვითარებისათვის და საუნივერსიტეტო სივრცის ინტერნაციონალიზაციისათვის. აღნიშნული პროგრამების შემუშავებამ აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მაქსიმალური მხარდაჭერა ჰპოვა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე შემუშავდა ინგლისური ფილოლოგიის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, სამედიცინო ფაკულტეტზე ფარმაციის ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, რომლებმაც გაიარა პროგრამული აკრედიტაცია.

“ერაზმუს+” პროგრამის პროექტის „MAHATMA” შემაჯამებელი შეხვედრა

აწსუ ჩართული იყო “ერაზმუს+” პროგრამის პროექტში „MAHATMA“, რომელიც 2016 წელს წარმატებით დასრულდა და საბოლოო შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა ქ. ერევანში.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში დაფუძნდა „უმაღლესი განათლების პირთა ასოციაცია“, რომლის მუშაოების მიმართულებებია სტუდენტთა გაცვლისა და მობილობის ხელშეწყობა, განათლების საკითხებზე სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალის დაარსება და უმაღლესი განათლების სისტემის გაუმჯობესება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში აწსუ-ში შემუშავდა ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამა „ლიდერობა და მენეჯმენტი უმაღლეს განათლებაში“, რომელმაც გაიარა აკრედიტაცია და ამჟამად ამ პროგრამაზე თურქი სტუდენტები სწავლობენ.

6. მონაწილეობა ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ შეხვედრებში, საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში, ტრენინგებში

მონაწილეობა ფორუმში

სამსაფეხურიანი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: ფორუმი სწავლება-სწავლის ეფექტურობაზე

„სამ საფეხურიანი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის: ეფექტური სწავლა-სწავლება ხარისხის უზრუნველყოფის" მე-3 ფორუმის პარტნიორა წარმოადგენდა სომხეთის ამერიკის უნივერსიტეტი და ტემპუს MAHATMA-ს პროექტი, რომელსაც კოორდინირებას უწევს სომხეთის სახელმწიფო პედაგოგიური უნივერსიტეტი (ARMSPU).

21-22 იანვარს, სომხეთის ამერიკულ უნივერსიტეტში ჩატარდა რიგით მესამე განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფორუმი თემაზე - „სამსაფეხურიანი განათლების ხარისხის უზრუნველყოფა: სწავლება-სწავლის ეფექტურობა", რომელიც ორგანიზებული იყო „პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ფონდის ეროვნული ცენტრის (ANQA)" მიერ. კონფერენციის განმავლობაში პროფესორებმა და განათლების მართვის სპეციალისტებმა სომხეთიდან, საქართველოდან, დიდი ბრიტანეთიდან და გერმანიიდან გააკეთეს მოხსენებები და გამართეს დისკუსიები შემდეგ თემებზე: „სწავლა-სწავლება ეფექტურია თუ...", „როგორ არიან დაინტერესებული პირები ჩართულნი აკადემიური პროგრამების განხორციელებაში" და „სწავლება-სწავლის ეფექტურობის გაზრდა შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით".

პროფესიული განათლების წარმომადგენელთა ვიზიტი ესტონეთში, განხორციელებული საქართველოში პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში

საქართველოში პროფესიული განათლების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროფესიული განათლების წარმომადგენელთა ვიზიტი ესტონეთში. დელეგაციაში იმყოფებოდნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის, პროფესიული კოლეჯებისა და უნივერსიტეტების წარმომადგენლები. ვიზიტში მონაწილეობდა აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირმა გრძელიძე.

ვიზიტის მიზანი იყო საქართველოს პროფესიული განათლების მდგრადობის ხელშეწყობა ესტონეთის გამოცდილების გაზიარებით. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომაზე ი. გრძელიძემ ვრცლად ისაუბრა ვიზიტის მიმდინარეობაზე და შედეგებზე. აღნიშნა, რომ პროფესიული განათლების განვითარებისათვის იგეგმება ესტონური მოდელის გაზიარება.

აწსუ-ში ჩატარებული საჯარო დისკუსია „საქართველოს გზა ევროპული ბაზრისკენ - პროფესიული უნარები DCFTA-ს კონტექსტში“

2016 წლის 6 დეკემბერს აწსუ-ში შედგა საჯარო დისკუსია თემაზე: „საქართველოს გზა ევროპული ბაზრისკენ - პროფესიული უნარები DCFTA-ს კონტექსტში“, რომელიც ჩატარდა ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტის „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ ფარგლებში. ორგანიზატორი: GIZ-ის პროგრამა „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“.

ღონისძიების მიზანი: საქართველოში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის საჭიროებების შესახებ ცნობიერების გაზრდა ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა (AA) და მისი ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) განხორციელების კონტექსტში.

წარმოდგენილ იქნა საინტერესო მოხსენებები და დაისვა მნიშვნელოვანი აქცენტები. აწსუ-ს მხრიდან გაკეთდა საინტერესო მოხსენება: AA/DCFTA-ს მოთხოვნებთან დაკავშირებული უნარების განვითარების საჭიროებები და უმაღლესი განათლება - მიმდინარე მდგომარეობა და ხედვა. მომხსენებელი ც. თურქაძე - აწსუ-ს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

ყურადღებას იმსახურებს საქართველოს ეროვნული სავაჭრო პალატის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის გ. ვეკუას მოხსენება: რეგიონული მცირე და საშუალო საწარმოების საჭიროებები AA/DCFTA-ს მოთხოვნებთან დაკავშირებული უნარების განვითარების მიმართულებით და სრულწლოვანთა სწავლების ფორმები.

კონფერენცია „დუალური პროფესიული განათლების განვითარება სამხრეთ კავკასიაში“

2016 წლის 11-13 ოქტომბერს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საერთაშორისო ორგანიზაცია GIZ, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისა და მაგდებურგის უნივერსიტეტის (გერმანია) პროფესიული განათლებისა და მომზადების UNEVOC ცენტრის თანამშრომლობით, სამხრეთ კავკასიაში პროფესიული განათლების განვითარების თემაზე, რეგიონული დუალური პროფესიული განათლების კონფერენცია ჩატარდა.

აღნიშნულ კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს აწსუ-ს ხარისხის უხრუნველყოფის სამსახურის თანამშრომლბმა (ც. თურქაძე, ლ. ჩირგაძე), რომლებმაც მოისმინეს პროექტის „ლიდერების მომზადების საერთაშორისო პროგრამა - მასტერ ტრენერი პროფესიულ განათლებაში“ შედეგები. და

აღნიშნული კონფერენციის ფარგლებში მოხდა გამოცდილების გაზიარება გერმანელ და ადგილობრივ ექსპერტებს შორის გერმანული დუალური პროფესიული განათლების პოლიტიკის და საქართველოში დუალური პროფესიული განათლების დანერგვის საკითხებზე.

სემინარი "პლაგიატი საქართველოს აკადემიურ სივრცეში: პრევენცია და ბრძოლა"

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2016 წლის 29 მარტს შედგა სემინარი რომელიც ჩატარდა პროექტის "პლაგიატი საქართველოს აკადემიურ სივრცეში: პრევენცია და ბრძოლა" ფარგლებში.

Erasmus+ - ის ეროვნული ოფისის ხელმძღვანელმა ლიკა ღლონტმა, წარადგინა პრეზენტაცია საქართველოს აკადემიურ სივრცეში პლაგიატის არსებული მიდგომების შესახებ, იმსჯელეს მეტოდებზე და რეკომენდაციებზე, რომელიც შესაძლებელია გამოვიყენოთ პლაგიატთან ბრძოლისათვის.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შეხვედრები პროფესიული განათლების დანერგვასთან დაკავშირებით

2016 წლის 17 და 18 ნოემბერს, აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტში შედგა შეხვედრა იმერეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონების საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომელსაც ესწრებოდნენ: სსიპ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ ქუთაისი/ზაღდათის საზოგადოებრივ კოლეჯ „იბერიას“, ამბროლაურის სსიპ პროფესიული კოლეჯ „ერქვანის“, შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სენაკის ფილიალის, ჯვარის სსიპ პროფესიულ კოლეჯ „ლაკანდასა“ და მესტიის სსიპ პროფესიული კოლეჯ „თეთნულდის“ პროფესიული განათლების მასწავლებლები და კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრმა პროფესიული განათლების მასწავლებლებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ერთად შეაჯამა მოდულური და დუალური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის შედეგები, განიხილეს არსებულ გამოწვევებზე რეაგირების და პროფესიული განათლების რეფორმის სამომავლო ნაბიჯები.

7. სხვა საქმიანობა

სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცესის ხელშეწყობა, კრედიტების აღიარება

მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორი კოორდინირებას უწევს სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცესს, რეგულარულად აკეთებს როგორც სტატისტიკურ, ასევე შედარებით ანალიზებს შიდა და გარე მობილობის, სტატუსშეჩერებული/შეწყვეტილი სტუდენტის აღდგენის წესით ჩარიცხვის შესახებ, რომელთა საფუძველზეც, რეგიონული პრინციპების გათვალისწინებით, იღებს სტრატეგიულ გადაწყვეტილებებს. ამასთან, დიპლომის ნამდვილობასთან დაკავშირებით შემოსული და გასული კორესპოდენციების აღრიცხვას მობილობის ხელშეწყობისა და კრედიტების აღიარების სექტორი უზრუნველყოფს.
2016 წელს აწსუ-ში მობილობის წესით გადმოვიდა 190 სტუდენტი, ხოლო უნივერსიტეტიდან გადავიდა 105 სტუდენტი.

კორესპონდენციების მართვა

2016 წელს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში ოფიციალურად შემოვიდა 352, ხოლო გავიდა 265 კორესპონდენცია, რომლებიც, ძირითადად, ეხებოდა ხარისხის უზრუნველყოფის აქტუალურ საკითხებს, სასწავლო პროგრამებს, სტუდენტთა მობილობასა და კრედიტების აღიარებას, საერთაშორისო ურთიერთობებს, უცხოელი პროფესორების ვიზიტებს და სხვ.

ტუტორების კორპუსის საქმიანობის კოორდინირება

უნივერსიტეტში ტუტორების ინსტიტუტი 2015 წელს შეიქმნა, 2016 წელი შეიძლება შეფასდეს როგორც ტუტორების მუშაობის გაუმჯობესებისა და განვითარების წელი.
ტუტორი არის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შერჩეული პირი, რომელიც ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს უწევს კონსულტაციებს. ტუტორი ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წინაშე.
2016 წელს ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებმა (სამოტივაციო წერილისა და გასაუბრების საფუძველზე) დამოუკიდებლად განახორციელეს ტუტორების შერჩევა და დასახეს ერთობლივი მუშაობის გეგმა.
ტუტორებს კოორდინირებას უწევს მარიამ ნინიძე, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სტაჟიორია. აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2015-2016 წლის წარმატებულ ტუტორებს სერთიფიკატები გადასცა.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2016 წლის ღონისძიებების შეფასება
აწსუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმით (2016-2022)
გაწერილი აქტივობების მიხედვით

<u>სტრატეგიული მიმართულება №2.</u>

მიზანი: ხარისხის უზრუნველყოფის უახლესი მოქნილი და ეფექტიანი სისტემის საშუალებით სწავლა-სწავლებისა და კვლევების თანამედროვე ინოვაციური მეთოდებისა და ფორმების დანერგვა, კვლევის შედეგების საგანმანათლებლო პროცესში ინტეგრაციის უზრუნველყოფა, ხარისხიანი აკადემიური პროცესების უზრუნველყოფა რეგიონის, ქვეყნის და საერთაშორისო საზოგადოების წინაშე არსებული გამოწვევების გათვალისწინებით.

1. დახვეწილია ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა	
1.1. ხარისხის უზრუნველყოფის სისტემაში არსებული ძირითადი პრობლემების იდენტიფიცირება	X
1.2. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა პოლიტიკისა და შესაბამისი მექანიზმების განსაზღვრა, კონკრეტული რეკომენდაციების შემუშავება, აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება	X
1.3. ამოქმედებულია საგანმანათლებლო პროგრამების (აკადემიური/პროფესიული) განვითარებისა და სრულყოფის ეფექტიანი მექანიზმები	X
1.4. სწავლის შედეგების კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება	○
2. წარმოებს უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის, პროფილისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისი მრავალფეროვანი, მათ შორის, ინტერდისციპლინური კვლევები	
2.1. პრიორიტეტული კვლევითი მიმართულებების განსაზღვრა	○
2.2. რეგიონული ინდუსტრიის განვითარებაში კვლევების ინტეგრაციის ხელშეწყობა	⦿
2.3. სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა	○
2.4. შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო პროექტების დაფინანსების სისტემის სრულყოფა	○
2.5. პერსონალის გადამზადება საპროექტო წინადადების მომზადებასა და წარდგენაში	○
3. დანერგილია სწავლების თანამედროვე მეთოდები	
3.1. პედაგოგებისა და თანამშრომლების გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშემწყობი მექანიზმების შემუშავება	X
3.2. აკადემიური/მოწვეული პერსონალის გადამზადება (სწავლებისა და კვლევის თანამედროვე მეთოდები, შეფასების ადეკვატური სისტემები და ა.შ.)	X
3.3. პედაგოგების გადამზადება	X

4. ამოქმედებულია ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები	
2.1. პარტნიორებთან თანამშრომლობის განვითარება	X
2.2. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განვითარება	⦿
2.3. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირება და შეფასება	⦿
2.4. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებისა და მდგრადობის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავება	⦿
5. ამოქმედებულია ახალი უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამები	
5.1. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა და განვითარება	X
5.2. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების პილოტირება და შეფასება	X
5.3. უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება და მდგრადობის უზრუნველყოფა	○
6. მიღებულია საერთაშორისო აკრედიტაცია	
6.1. საერთაშორისო აკრედიტაციის შესაბამისი სტანდარტებისა და ინდიკატორების შესწავლა	⦿
6.2. საერთაშორისო აკრედიტაციაზე წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა	⦿
6.3. ადამიანური და მატერიალური რესურსების შესაბამისობაში მოყვანა	⦿
6.4. საგანმანათლებლო პროგრამების წარდგენა საერთაშორისო აკრედიტაციაზე	○
7. ამოქმედებულია ელექტრონული სწავლების სისტემა	
7.1. ელექტრონული სწავლების სისტემის დანერგვა	⦿
7.2. ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა და პერმანენტული განახლება	○
7.3. სასწავლო პროცესში ელექტრონული რესურსების ინტეგრაცია	○

X - გატარებულია ქმედითი ღონისძიებები; ○ - საჭიროებს სამომავლო მუშაობას; ⦿ - ინიცირებულია.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები

1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 24
2. ბიზნესის, სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 30
3. ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 37
4. ჯანდაცვის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 41
5. პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 55
6. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 61
7. საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 69
8. აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 76
9. საზღვაო-სატრასპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 88

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის
ასოც. პროფ. ინგა აბრამიძის

ანგარიში

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტეზე მოქმედებს 9 საბაკალავრო პროგრამა, 12 მაინორი, ერთი ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, 16სამაგისტრო და 9 სადოქტორო პროგრამა:

საბაკალავრო პროგრამები:

- ისტორია
- არქეოლოგია
- ფილოსოფია
- ქართული ენა და ლიტერატურა
- ინგლისური ენა/ლიტერატურა
- გერმანული ენა/ლიტერატურა
- ფრანგული ენა და ლიტერატურა
- რუსული ენა/ლიტერატურა
- აღმოსავლური ფილოლოგია
- ხელოვნებათმცოდენობის minor პროგრამა
- კლასიკური ფილოლოგიის minor პროგრამა
- კულტუროლოგიის minor პროგრამა
- ქართულენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამები:

- საქართველოს ისტორია
- ევროპა/ამერიკის ახალი და უახლესი ისტორია
- არქეოლოგია და ანტიკური ცივილიზაცია
- ინგლისური ენა/ლიტერატურა
- ფრანგული ენა/ლიტერატურა
- რუსული ენა/ლიტერატურა
- გერმანული ენა/ლიტერატურა
- აღმოსავლური ფილოლოგია
- ქართული ლიტერატურა
- ლინგვისტიკა
- ევროპისმცოდნეობა
- ხელოვნების თეორია
- ქართველური ენათმეცნიერება
- ამერიკისმცოდნეობა
- კლასიკური ფილოლოგია
- ფილოსოფია – რელიგიის კვლევები

სადოქტორო პროგრამები:

- საქართველოსისტორია
- დასავლეთევროპული და ამერიკული ლიტერატურა
- არქეოლოგია
- ქართველური ენათმეცნიერება
- აღმოსავლური ფილოლოგია
- შეპირისპირებითი ლინგვისტიკა
- ქართული ლიტერატურა
- კლასიკური ფილოლოგია
- გერმანული ენათმეცნიერება

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათაფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა(ხელმძღვანელი ასოც.პროფ.ი.აბრამიძე, სპეციალისტები: ასოც.პროფ.მ.ჭუმბურიძე, ასისტ. პროფ. ა.ჩიკვაიძე) 2016 წლის განმავლობაში სამუშაო გეგმის შესაბამისად შეასრულა შემდეგი აქტივობები:

- სასწავლოწლისდასაწყისშიგანხორციელდა ფაკულტეტეზე არსებული საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებისმონიტორინგი, სასწავლო გეგმების გრაფიკის ფორმებში ასახვა და სასწავლო-მეთოდური განყოფილებისთვის მიწოდება.
- დაადგინა დეპარტამენტებისხელმძღვანელთამიერმოწოდებულისასწავლოდატვირთვებისსასწავლოგეგმებთანშესაბამისობა და პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური დატვირთვებში სასწავლო კურსების შესაბამისობა მათ პროფილთან.
- პირველკურსელთათვის მომზადდა საინფორმაციო მასალა პროგრამებთან დაკავშირებით დაჩატარდა შეხვედრები მათთანსასწავლოდასაგამოცდოპროცესის, შეფასებისა და საკრედიტო სისტემის გაცნობის მიზნით;
- ტუტორების არჩევა, სამსახურის მუშაობის პროცესში ინტეგრირება;



- ❖ წარმართადეპარტამენტებთანპერმანენტულიშეხვედრები სწავლების ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე და მისცა მათ შესაბამისი რეკომენდაციები.
- ❖ მოამზადა და გააცნო შეფასების რუბრიკები აკადემიურ პერსონალს, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებით სილაბუსებში მოხდა შეფასების სისტემის დახვეწა-გაუმჯობესება.
- ❖ მოაწესრიგაინსტიტუციური და პროგრამული აკრედიტაციისათვის საგანმანათლებლო პროგრამები და მოამზადა შესაბამისი პროგრამების სრული პაკეტები;უზრუნველყოსაგანამანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების ახალ ფორმაში გადატანა.
- ❖ აკრედიტაციისათვის მოამზადა და წარადგინა შემდეგი ახალი პროგრამები:

  ა) ფილოსოფია – რელიგიის კვლევები (მაგისტრატურა)

  ბ) ფილოსოფია – რელიგიის კვლევები (დოქტორანტურა)

  გ) კლასიკური ფილოლოგია (მაგისტრატურა; გაიარა აკრედიტაცია ივლისში)

  დ) ინგლისური ფილოლოგია (ინგლისურენოვანი საბაკაკალავრო პროგრამა)

  პროგრამული აკრედიტაცია წარმატებით გაიარა ფილოსოფია – რელიგიის კვლევებმა (მაგისტრატურა); კლასიკურმა ფილოლოგიამ (მაგისტრატურა;);

  ინსტიტუციური აკრედიტაცია ინგლისურმა ფილოლოგიამ (ინგლისურენოვანი საბაკაკალავრო პროგრამა).
- ❖ განიხილა კვალიფიკაციათა ახალი კლასიფიკატორი და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი სტანდარტებიპროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად.
- ❖ უხელმძღვანელაშიდა და გარე მობილობისა პროცესს (განცხადებების განხილვა პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად, დასკვნების ელექტრონული ფორმით მომზადება, სტუდენტების ინფომირება, შიდა მობილობისა და აღდგენის ბრძანების პროექტის მომზადება).
- ❖ უზრუნველყო აღდგენილი, დავალიანებაში მყოფი და დამატებითი სემესტრის სტუდენტთათვის კრედიტების ათვისების პროცესი (ასათვისებელი კრედიტების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, ჩასაბარებელი საგნების სემესტრების განსაზღვრას და ა.შ.);

❖ სასწავლო წლის მანძილზე აკონტროლებდა და ორგანიზებას უკეთებდა შუალედური და დასკვნითი გამოცდებისათვის მზადებას (სასწავლო გრაფიკების მიხედვით საბაკალავრო პროგრამების საგამოცდო ცხრილის შედგენა, დეპარტამენტებიდან მიღებული საგამოცდო საკითხების სარეიტინგო ცენტრის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა, საჭიროების შემთხვევაში აკადემიური პერსონალისთვის კონსულტაციის გაწევა და ა.შ.);

❖ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დადებითი და უარყოფითი ასპექტების შესწავლისა და ნაკლოვანებების გამოსწორების მიზნით სისტემატურად მიმდინარეობდა შეხვედრები ფაკულტეტის დეპარტამენტებთან, სტუდენტებთან და ტუტორებთან;

❖ ჩაატარასტუდენტთასაგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრების აკადემიურიმოსწრებისანალიზი;

❖ სასწავლოპროცესისმიმდინარეობისმონიტორინგისმიზნით განახორციელა სტუდენტთა გამოკითხვა და მონაცემთა ანალიზი;

❖ ორგანიზება გაუწია სტუდენტების შეხვედრას MAINOR პროგრამების ხელმძღვანელებთან და განახორციელა ფაკულტეტზე არსებული MAINORპროგრამების პრეზენტაცია;

❖ მოამზადა ინფორმაცია დეკანატისთვის არჩევითი საგნებისა და თავისუფალი კრედიტების შესახებ (სასწავლო გეგმების მიხედვით თითოეული კურსის შესაბამისად არჩევითი საგნების ნუსხა და ა.შ.);

❖ პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად განიხილა საერთაშორისო გაცვლით და საზღვარგარეთის პარტნიორულ უნივერსიტეტების პროგრამებში(ERASMUS, ფრიდრიხ შილერის იენის, გრონინგენის, ქაიროს უნივერიტეტისა და ა.შ.) მონაწილე სტუდენთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია და მოამზადა კრედიტების აღიარების დასკვნები;

❖ მოთხოვნისამებრ გაიცასტუდენტებზე სასწავლოკურსებშიმიღებულიშეფასებისსაშუალო(შეწონილი) ქულის(GPA) გამოთვლის ცნობები;

❖ ხელიშეუწყოზამთრისა და ზაფხულისსკოლის ფუნქციონირებას და გაკეთდა ანალიზი;

- განახორციელა სპეციალობების მიხედვით, 2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა დიპლომების დანართების მომზადება სასწავლო გეგმების მიხედვით და უზრუნველყო მათი ინგლისურ ენაზე თარგმნა.
- განახორციელა წინა წლების კურსდამთავრებულთა დიპლომების დანართების შევსება და გაცემა;
- ჩაატარა კურდსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით გამოკითხვა და მოამზადა ანალიზი;
- განხილულიქნა საგანმანათლებლო პროგრამებში განსახორციელებელი შესაძლო ცვლილებები და განახორციელა პროგრამების შიდა თვითშეფასებაSWOT ანალიზი;
- მოამზადა გარე თვითშფასების დოკუმენტაცია;
- განახორციელა სამაგისტრო ნაშრომების თემატიკისა და სამაგისტრო ნაშრომების დაცვის მონიტორინგი;
- პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად განახორციელა პირველკურსელთა ლექციებზედასწრება და ანალიზი.
- ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო**ტრენინგებში:**გამოყენებითი კვლევა სასწავლო დაწესებულების მართვისათვის; ინგლისურენოვანი ტრენინგი შეფასების სისტემაზე;პლაგიატის საკითხებზე და ა.შ. ტრენინგებზე მიღებული ინფორმაციები განხილულ იქნა აკადემიური პერსონალთან.
- სექტემბერში ფაკულტეტის ხარისხის სამსახურმა 2 დღიანი შეხვედრა გამართა იენის ფრიდრიხ შილერის სახ. უნივერსიტეტის პროფესორებთან დოქტ. მარკოლფ ბალიგას და ნორა მიორშტედტთან(პროექტის კოორდინატორი სწავლების ხარისხის განვითარება), სწავლების ხარისხთან დაკავშირებით მოხდა გამოცდილებათა გაზიარება და პარტნიორული ურთიერთობების მიზნით დაისახა ახალი სამომავლო გეგმები.

- **ღონისძიებები:**ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ინიციატივითა და ორგანიზებით განხორციელდა:
  1) 2016 წლის გაზაფხულს საქველმოქმედო აქცია (მატერიალური დახმარება მიიღო სოციალურად დაუცველმა მრავალშვილიანმა ოჯახმა);
  2) 2016 წლის ისტორიკოს კურსდამთავრებულთა გამოსაშვები საღამო ლაიტმოტივით „მადლობა უნივერსიტეტს!“;
  3) 17 ნოემბერს ჭყვიშში „გალაკტიონობაზე“,ტუტორებთან ერთად, აქტიური მონაწილეობა მიიღო პირველკურსელთა ტრადიციულ სტუდბილეთთა გადაცემის ცერემონიალზე.

ასოც. პროფ. ინგა აბრამიძე



ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ

2016 წელს გაწეული სამუშაო

1. ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შეიქმნა ფაკულტეტის ჩამოყალიბებასთან ერთად 2006 წელს. სამსახურის აპარატის შემადგენლობაში შედის:

- ნანა შონია - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის პროფესორი;
- თენგიზ კუპრაშვილი - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, ბიზნესის ადმინისტრირების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
- ნანა შენგელია - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, მასობრივი კომუნიკაციების მიმართულების ასოცირებული პროფესორი;
- თამთა საჯაია - ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, სამართლის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი.

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციები განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულების მუხლების შესაბამისად (იხ.ფაკულტეტის დებულება:

http://doc.atsu.edu.ge/faculties/sazogadoebrivi/geo/debuleba%20biznesi.pdf)

ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაწეული აქტივობები

2016 წ

პერიოდი	აქტივობა
იანვარი	მომზადდა 2016 წლის ბიზნესის ადმინისტრირების, სამართლის, ეკონომიკის, ტურიზმისა და სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების კურსდამამთავრებელთა დიპლომის დანართები როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე.
თებერვალი	შემოწმდა დიპლომების დანართების შევსების სისწორე.
თვეში ერთხელ	შეხვედრა პროგრამების ხელმძღვანელებთან და მსჯელობა ახალი ავტორიზაცია-აკრედიტაციის საკითხებზე, პროგრამის ფარგლებში არსებულ პრობლემებზე და ა.შ.
თვეში ერთხელ	შეხვედრები ტუტორებთან (ტუტორების ფუნქციების გაწერა, სტუდენტური ხედვების განხილვა, ახალი დავალებების გაცემა).
თებერვალი, სექტემბერი	განხორციელდა საბაკალვრო და სამაგისტრო პროგრამებზე, გაზაფხულის და შემოდგომის სემესტრების მობილობისა და სტუდენტის უფლებებში აღდგენის პროცესი. ფაკულტეტის მასშტაბით მობილობა განახორციელა 200-ზე მეტმა სტუდენტმა.
1 მარტი, 20 სექტემბერი	ჩატარდა შეხვედრა მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტებთან, რაც ითვალისწინებდა მობილობის პროცესთან დაკავშირებული აკადემიური მოსწრების შედარების ოქმების გაცნობას, საგანამანთლებლო პროგრამების კურიკულუმის გაცნობას, უნივერსიტეტის სასწავლო და საგამოცდო პროცესების გაცნობას, უნივერსიტეტის მატერიალური ბაზის გაცნობას);
19 სექტემბერი	შეხვედრა პირველი კურსის სტუდენტებთან (საგანმანათლებლო პროგრამების, საკრედიტო სისტემის, სასწავლო და საგამოცდო პროცესის, მატერიალური ბაზის გაცნობა)
მაისი-ივნისი	გაკეთდა საგანამანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი და მოხდა მათი განხილვა დეპარტამენტების სხდომებზე
აპრილი	განხორციელდა საგანამანათლებლო პროგრამების შიდა შეფასება.

მაისი	მომზადდა გარე თვითშეფასებების ანგარიშები .
მარტი; სექტემბერი	მომზადდა საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრების აკადემიური მოსწრების ანალიზი, ჯგუფებისა და საგნების მიხედვით, გამოვლენილი იქნა ხარვეზები სასწავლო კურსების მიხედვით. ანალიზის შედეგები განხილული იქნა შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად. გამოვლენილი იქნა ხარვეზები რიგი სასწავლო კურსების მიხედვით სტუდენტთა მოსწრების მხრივ. შედეგები განხილული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე (იხ.დანართი 1).
მაისი	განხორციელდა საგანამანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ ახალ ფორმაში გადატანა.
2016 წლის 2 მარტი	ბიზნესის, სამართლისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამასხურის მიერ მოეწყო შეხვედრა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებთან. მათ, საზეიმო ვითარებაში, გადაეცათ აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ორგანიზებულ (2015 წლის ოქტომბერი–დეკემბერი) ტრენინგებში მონაწილეობის დამადასტურებელი სერთიფიკატები.
მარტი-აპრილი	შეიქმნა ახალი საბაკალავრო საგანამანთლებლო პროგრამები (ჟურნალისტიკა, საერთაშორისო ურთიერთობები, სამართლის საბაკალავრო და სამაგისტრო), რომლის წარტგდენაც ახალი აკრედიტაციისთვის გვაქვს დაგეგმილი.
მარტი-აპრილი	კვალიფიკაციის ახალი კლასიფიკატორის განხილვა დეპარტამენტების სხდომებზე
ნოემბერი	პირველი კურსის სტუდენტების გამოკითხვა მატერიალური ბაზის, სასწავლო კურსებისა და ლექტორების შეფასების მიზნით (ძირითადი შედეგები იხ. დანართი 2)
სექტემბერში	დამსაქმებელთა გამოკითხვა და შესაბამისი ანალიზის გაკეთება (იხ.დანართი 3).
17 ივნისი	აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ბიზნესის სამართლის და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, ფაკულტეტის დეკანატთან ერთად ჩატარდა ღონისძიება ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამების შეფასებისა და განვითარებისათვის, სადაც ბაკალავრიატის მეოთხე კურსელ სტუდენტებს საშუალება მიეცათ შეეფასებინათ აღნიშნული პროგრამები და გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრებები (იხ. დანართი 4).

აგვისტო	ონლაინ კურსების მუშაობის შესწავლა.
გაზაფხულის სემესტრი	პროფესიული პრაქტიკის მიმდინარეობის მონიტორინგი
ივლისი	სამაგისტრო ნაშრომების დაცვის პროცესის მონიტორინგი
ივლისი	გადამოწმდა სტუდენტეთა აკადემიური მოსწრების ბარათები
20 ივლისი	მოეწყო სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულების გაცილება
დეკემბერი	განხორციელდა მეოთხე კურსის დაუსაქმებელი 40 სტუდენტის დატრენინგება „წარმატებული კარიერის შექმნაში“.
22 დეკემბერი	მოეწყო „კარიერის დღე“, სადაც 21 პოტენციური დამსაქმებელი მონაწილეობდა.
ოქტომბერი	დასრულდა პროფესიულ პროგრამებზე მუშაობა.
ნოემბერი	განხორციელდა მოდულურ პროგრამებზე კონტინგენტის მიღება: ➢ სარეკლამო აგენტი - 20 სტუდენტი; ➢ საბაჟო საქმის სპეციალისტი - 20 სტუდენტი; ➢ სასტუმრო საქმის სპეციალისტი - 8 სტუდენტი.
შემოდგომის სემესტრი	**„დამსაქმებლის დღე“** - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების განვითარების მიზნით დაინერგა „დამსაქმებლის დღე“, რომლის ფარგლებშიც წარმატებული ბიზნესის წარმოამდგენლები მეოთხე კურსის სტუდენტებს უნივერსიტეტში ჩაუტარებენ საჯარო ლექციას თემაზე: „ბიზნესმენის წარმატების საიდუმლო“. ამ ეტაპზე მონაწილეობა მიიღო მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ლაზიკა კაპიტალის“ და სს კომერციული ბანკი „ფინკას“ წარმოამდგენლებმა.
ნოემბერი	განხორციელდა დეპარტამენტებისთვის საკვლევი თემების დამტკიცების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მასში სტუდენტების ჩართულობის აუცილებლობა
ოქტომბერი	აკადემიური პერსონალის გამოკითხვა და ანალიზის გაკეთება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შეფასების მიზნით (იხ. დანართი 5)
შემოდგომის	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ახალი

სემესტრი	სტანდარტების განხილვა დეპარტამენტების სხდომებზე
ოქტომბერი	შეხვედრა სოციალური მეცნიერებების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებთან პრობლემების შესწავლის მიზნით და გამოკითხვის ანალზი (იხ.დანართი 6)
შემოდგომის სემესტრი	შეხვედრები სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან
თებერვალი; აგვისტო	მონიტორინგი ზამთრის და ზაფხულის სკოლების მიმდინარეობაზე
ნოემბერი	ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების მომზადება ანდრია პირველწოდებულის ქართული უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ რესპუბლიკურ კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად;
2016 წ	ხორციელდებოდა ფაკულტეტის ფეისბუკგვერდის სოციალურ ქსელის აქტიური მართვა, ფაკულტეტის საგანმანათლებლო საქმიანობის პოპულარიზაციის მიზნით, დამზადდა სარეკლამო ვიდეორგოლი (იხ. https://www.facebook.com/1a991ca4-a481-415d-9f09-71b6d257f1cd
	აკადემიური პერსონალის გადამზადება: ➢ 29 მარტს - პლაგიატის საკითხებზე გადამზადდა - თ.გოგბერაშვილი, თ.ხურციძე, შ.ლომინაშვილი, ნ.შონია ➢ 23-25 თებერვალი - ზრდასრულთა სწავლების მეთოდები - ნ.შენგელია, ნ.შონია, თ.კუპრაშვილი ➢ 14 მაისი - კომუნიკაცია და ურთიერთობათა ფსიქოლოგია - ნ.შონია, ნ.ბენიძე, ს.სვანაძე, ნ.შენგელია ➢ 7 ივნისი- ხარისხის კულტურა და ხარისხის უწყვეტობის გაუმჯობესების პროცესი - ნ.შენგელია ➢ 18-19 ივლისი - ინგლისურენოვანი ტრენინგი შეფასების სისტემაზე - თ.საჯაია, ზ.მუშკუდიანი, თ.ჭეიშვილი
შემოდგომის სემესტრი	➢ განხორციელდა სააუდიტორიო მუშაობის მონიტორინგი. მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ სამართლის დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული სპეციალისტები სწავლა/სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვან მეთოდებს და ინსტრუმენტებს იყენებენ(რასაც ვერ ვიტყვით სოციალური მეცნიერებების დეპარტამენტის ლექტორებზე). **სააუდიტორიო მუშაობის დაკვირვების შედეგად გამოიკვეთა**

	შემდეგი პრობლემები: ✓ აუდიტორიების სათანადოდ გაუმართაობა - მოძველებული დაფები, რომელზეც არ იწერება და არ იკითხება არაფერი. არ არის ცარცი და მარკერი, არ არის პროექტორი, არ იკეტება კარები, აუდიტორიები აღჭურვილია ხის ფიცრებისგან დამზადებული სკამებით, რაც სასტიკად ვნებს სტუდენტების ძვლოვან სისტემას; ✓ სტუდენტების მიერ მასიური დაგვიანება მეცადინეოაბაზე; ✓ ლექტორების უმრავლესობა არ მუშაობს სილაბუსის შესამისად; ✓ პირველი კურსის სტუდენტები ვერ სარგებლობენ ელექტრონული დეკანატით, ზოგიერტი ჯგუფი არ იყო მიმაგრებული, ზოგიერთ ლექტორს არ ქონდა ქულები ატვირთული, ზოგიერტ სტუდენტს საერთოდ არ აქვს ინტერნეტთან წვდომა და ა.შ. ✓ მობილობით გადმოსულ სტუდენტებს არ აქვთ კორპორაციულ ფოსტებთან წვდომა; ✓ სტუდენტის შეფასება არ ემთხვევა სილაბუსით გათვალისწინებულ შეფასების სისტემას; ✓ ზოგიერთი ლექტორი პრაქტიკულ უნარების ჩამოყალიბება-განვითარებას მხოლოდ სტუდენტის მიერ სემინარის მოყოლით ცდილობს, რაც ყოვლად მიუღებელია. **მონიტორინგის შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი რეკომენდაციები:** ✓ სააუდიტორიო მუშაობა ჩატარდეს სილაბუსის შესაბამისად - დეპრტამენტებმა გააქტიურონ ამ კუთხით მუშაობა; ✓ კონკრეტული ლექტორები გადამზადდეს სწავლა/სწავლებისა და შეფასების ინტერატიულ მეთოდებში - ქეთი კუხიანიძეს ეთხოვოს, როგორც საუკეთესო პრატიკული მეცადინობის ჩამტარებელს; ✓ შეიცვალოს ხის ფიცრებისგან დამზადებული სკამები რბილი სკამებით; ✓ აუდიტორიებში შეიცვალოს დაფები; ✓ აუდიტორიებში დამონტაჟდეს პროექტორები; ✓ აიკრძალოს სტუდენტის დაგვიანებით შესვლა აუდიტორიაში(მხოლოდ 5 წუთით დაგვიანება იყოს დასაშვები).

ზუსტდასაბუნებისმეტყველომეცნიერებათაფაკულტეტის ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურის მიერ 2016წელსშესრულებული სამუშაოსანგარიში

ზუსტდასაბუნებისმეტყველომეცნიერებათაფაკულტეტის ხარისხისუზრუნველყოფისსამსახურის მიერ2016-2017წლის განმავლობაში ჩატარებულ სამუშაოთა ჩამონათვალი შემდეგია:

- დეტალურად დაიგეგმა ჩასატარებელი სამუშაო – განისაზღვრა 2016-2017 სასწავლო წელს ჩასატარებელი საქმიანობის პრიორიტეტები.
- განხორციელდა 2016 წლიდან ფაკულტეტზე მოქმედისასწავლო პროგრამების კურიკულუმებისა და სილაბუსების გადატანა აწსუ-ს შესაბამისი ნორმატიული აქტებით დამტკიცებულ განახლებულ ფორმებში.
- განვლილი წლის განმავლობაში ხორციელდებოდა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესის მეთოდურ-ექსპერტული უზრუნველყოფა, თვითშეფასებების მომზადება;
- მომავალი ავტორიზაციის და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის და შესაბამისად, პროგრამების სრულყოფის მიზნით, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2016 წლის დასაწყისშიპროგრამის ხელმძღვანელებთან და აკადემიურ პერსონალთან ერთობლივი მუშაობის შედეგად განახორციელა 8 საბაკალავრო, 8 მაინორ-პროგრამის, 10 სამაგისტრო და 5 სადოქტორო პროგრამისგანახლება- მოდიფიცირება;
- პროგრამების შუალედური მონიტორინგის ფარგლებში მოხდა ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების ელექტრონული ვერსიების შექმნა-განახლება.
- განხორციელდა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შიდა შეფასება
- განხორციელდა საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, თანდართული დოკუმენტაციის მომზადების კოორდინირება.
- აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელებისა და დარგობრივი დეპარტამენტებისმონაწილეობით საანგარიშო წელს პირველად დაინერგა პროგრამების SWOT ანალიზის პროცედურა, როგორც სტატეგიული დაგეგმვის ერთ-ერთი

მნიშვნელოვანი მეთოდი.მომზადდა ფაკულტეტზე მოქმედი სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების SWOT ანალიზი.

- ლიტერატურის ახალი გამოცემების შეძენისა და ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდისგამდიდრების მიზნით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კოორდინირება გაუწია პროგრამის ხელმძღვანელებისა და აკადემიური პერსონალის მჭიდრო თანამშრომლობას აწსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობასთან.

- უზრუნველყოფილ იქნა ყოველწლიურად აკრედიტაციის ცენტრში წარსადგენი საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების კითხვარების მომზადება, შეგროვება და მონიტორინგი.

- 2016 წლის დასაწყისიდან ივნისამდე,თვეში ერთხელ ფაკულტეტის დეპარტამენტებში ტარდებოდა სემინარები და სამუშაო ჯგუფების შეხვედრები (workshop) ისეთ თემებზე, როგორიცაა: აკადემიური პერსონალის თვითშეფასების კითხვარის სრულყოფა; პროგრამის თვითშეფასების ანალიზი და SWOT - ანალიზი; აკადემიური პერსონალის მუშაობა;როგორ შევარჩიოთ სწავლების მეთოდები;სტუდენტთა ცოდნის შეფასების ფორმები; ზრდასრულთა სწავლების მეთოდები;როგორ ჩამოვაყალიბოთ სწავლების შედეგები;სტუდენტთა პერსონალური განვითარების თვითშეფასება და უკუკავშირი; მიმდინარე საკითხების განხილვა.

- საგაზაფხულო და საშემოდგომოსემესტრის განმავლობაში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა განახორციელა შუალედური და დასკვნითი გამოცდების საკითხებისა და საგამოცდო ტესტების ხარისხისმონიტორინგი (შეფასების ფორმების და შინაარსის სილაბუსთან შესაბამისობა და ა.შ.). გამოვლინდა ხარვეზები. ჩატარდა ანალიზი. შედეგები რეკომენდაციებთან ერთად დაეგზავნა დეპარტამენტების ხელმძღვანელებს.

- სტუდენტების პრობლემების დროული იდენტიფიცირების, სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის, საუნივერსიტეტო მმართველობის, სტუდენტური დასაქმების შესახებ სტუდენტთა აზრის შესწავლის მიზნით, ორჯერ (აპრილის ბოლოს და დეკემბერში) ჩატარდა სტუდენტთა (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა) გამოკითხვა.2016 წლის თებერვალ-მარტის თვეში მომზადდა ახალი კითხვარი, რომელიც განხილულ იქნა ფაკულტეტის დეპარტამენტების სხდომებზე. გათვალისწინებულ იქნა აკადემიური პერსონალის შენიშვნები, კითხვარი დამტკიცებულ იქნა ფაკულტეტის აკადემიური საბჭოს სხდომაზე. განახლებული კითხვარით ჩატარდა სტუდენტების ანონიმური გამოკითხვა. მომზადდა

ორივე გამოკითხვის ანალიზი, რომლებიც დაეგზავნა ფაკულტეტის დეკანს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

- მომზადდა ფაკულტეტზე სასწავლო პროგრამების მიმართულებების მიხედვით, 2015-2016 სასწავლო წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო სემესტრის აკადემიური მოსწრების ანალიზი, რომელიც განხილულ იქნა დეპარტამენტების სხდომაზე, ფაკულტეტის აკადემიურ სხდომაზე და შემდგომი რეაგირებისათვის გადაეცა დეკანს, შესაბამის დეპარტამენტებს და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
- განხორციელდა სამუშაოები სტუდენტთა საშემოდგომო და საგაზაფხულო შიგა და გარე მობილობის ხელშეწყობის მიზნით;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა უზრუნველყო დიპლომის დანართების დროულად შევსებისა და გაცემის კონტროლი.
- ტუტორების დახმარებით შეიქმნა ფაკულტეტის კურსდამთავრებულთა ბაზა, რომელიც წარმოდგენილია კურსდამთავრებულთა ელექტრონული CV-ებით. იგეგმება ბაზის პოპულარიზაცია დამსაქმებელთა შორის.
- კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვების მიზნით, განხორციელდა 2014-2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა ორჯერ (ნოემბერში და აპრილის ბოლოს),ასევე, 2016 წლის ნოემბერში განხორციელდა 2015-2016 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა. ჩატარდა გამოკითხვისანალიზი. ანალიზის შედეგები დაეგზავნა ექვსივე დეპარტამენტს და შესაბამისი პროგრამების ხელმძღვანელებს, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.
- შესწავლილ იქნა 2012-2016 წლებში ზუსტ და საბუნებისმეტყვლო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებზე საუნივერსიტეტო, სახელმწიფო და სხვა სახის სტიპენდიების გაცემის დინამიკა და მომზადდა ანგარიში.
- შესწავლილ იქნა 2012-2016 წლებში უნივერსიტეტის ფაკულტეტებისმიხედვით სტუდენტებზე სტიპენდიების გაცემის დინამიკა. მომზადდა ანგარიში, რომელიც წარედგინა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ინიციატივით, განხორციელდა ბიოლოგიის დეპარტამენტში მოქმედი საბაკალავრო პროგრამების პროპაგანდა რეგიონების (ფოთი, ხობი) სკოლის მოსწავლეებს შორის;

- 2016 წლის შემოდგომაზე ტუტორებთან ერთად ჩატარდა შეხვედრები პირველი კურსის სტუდენტებთან. შეხვედრის თემები იყო:კრედიტის განმარტება; მობილობის განმარტება; მაინორ-პროგრამების გაცნობა; საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმის გაცნობა; სტიპენდიების დანიშვნის წესის გაცნობა. მოეწყო პირველკურსელთათვის დამზადებული ვიდეო-რგოლების ჩვენება;
- სწავლისა და სწავლების პროცესის მონიტორინგის, შეფასებისა და მეთოდურიუზრუნველყოფის მიზნით 2016 წლის საშემოდგომო სემესტრში დაიგეგმა და განხორციელდა პირველ კურსელებთან ჩატარებულ ლექციებზე დასწრება. ლექციებზე დასწრების განრიგი შეთანხმებულ იქნა ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოსთან. აკადემიურ საბჭოსთან ასევე შეთანხმებულ იქნა ლექციებზე დასწრების ოქმის ფორმა.
- კოლეგებთან ერთობლივი მუშაობის შედეგად, საანგარიშო პერიოდში მომზადდა სტუდენტთა ცოდნის შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევი;
- საანგარიშო წლის განმავლობაში მიმდინარეობდა აქტიური მუშაობა ფაკულტეტზე მოდულური პროფესიული პროგრამის – **სისტემების ადმინისტრატორი** – განსახორციელებლად მზადყოფნისათვის. ამ მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აქტიურად ითანამშრომლა პროგრამის ხელმძღვანელთან. მომზადდა სასწავლო გეგმა, სასწავლო გეგმის შესაბამისად - კალენდარული გეგმები, შემუშავდა შეფასების სისტემა; მომზადდა სასწავლო აუდიტორიები შესაბამისი აღჭურვილობით; შემუშავდა დოკუმენტაციის ფორმები საქმის წარმოებისათვის.
- მოდულური პროფესიული პროგრამის „სისტემების ადმინისტრატორი“ დანერგვისა და შემდგომი მუშაობის ხელშეწყობისმიზნით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზეშეიქმნაშიდა მხარდაჭერის ჯგუფი. განისაზღვრა ჯგუფის მუშაობის გეგმა. შემდგომი მუშაობა ჯგუფმა გააგრძელა გეგმის მიხედვით. აღნიშნული დოკუმენტურად დასტურდება არსებული ოქმებით.
- შემუშავდა პროფესიული პროგრამის მეცადინეობებზე დასწრების განრიგი. რომლის მიხედვითაც მიმდინარეობს მეცადინეობებზე დასწრება, რაც ასევე დასტურდება ოქმებით.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური:
ხელმძღვანელი ასოც. პროფ. ნანა ჯულაყიძე
სპეციალისტი ასოც. პროფ. ნათია ღაჭავა

აკაკიწერეთლისსახელმწიფოუნივერსიტეტის
მედიცინის ფაკულტეტის

ხარისხისუზრუნველყოფის
სამსახურის

ანგარიში

(2016 წელი)

მედიცინის ფაკულტეტის
ხარისხისუზრუნველყოფის
სამსახურისხელ-ლი: პროფ. გულნარა შელია

1.0 შესავალი

მედიცინის ფაკულტეტი, როგორც უნივერსიტეტის შემადგენელი ნაწილი, სრულად აცნობიერებს და აღიარებს უნივერსიტეტის მისიას, ხედვას და ძირითად ღირებულებებს

ფაკულტეტის საქმიანობის განმსაზღვრელი და სახელმძღვანელო პრინციპებია:

–ცოდნის და კვლევის აკადემიური ხარისხი

–დემოკრატიულობა

–მართვის ორგანოების არჩევითობა და გამჭვირვალობა

–აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება

ფუნდამენტური და კლინიკური მეცნიერებების სწავლება და კვლევა ფაკულტეტზე ხორციელდება კონკურენტული სამედიცინო განათლებისათვის აუცილებელი ძირითადი მიმართულებებით: დარგობრივი აკადემიური ცოდნა, ინფორმაციის მართვა, კლინიკური აზროვნების, პრაქტიკული და კომუნიკაციური უნარ-ჩვევების განვითარება.

2.0 ფაკულტეტის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებია:

კლინიკური ბაზები (გაფორმებულია ხელშეკრულება/მემორანდუმი)

- დას.საქართველოს ინტერვენციული მედიცინის ცენტრი
- იმერეთის რეგიონალური კლინიკური საავადმყოფო
- რეგიონალური სისხლის ბანკი
- კლინიკა „ბომონდი“
- N3 სამშობიარო სახლი
- ააიპ „ქუთაისის ფსიქო–სოციალური ცენტრი“
- საეკლესიო საავადმყოფო
- ინფექციური საავადმყოფო
- წმ.ნიკოლოზის სახ.ქირურგიული ცენტრი

- კლინიკა “ლჯ”
- შპს „რეგიონალური სტომატოლოგიური ცენტრი“
- შპს“ სტომატოლოგიური კლინიკა–დენტიმერი“
- შპს “XXI საუკუნე”
- შპს „წამლის ხარისხის კონტროლის ცენტრი“
- შპს „ქუთაისის ნაზარიშვილის სახ.საოჯახო მედიცინის ცენტრი
- შპს „მწვანე აფთიაქი“
- შპს „ცაგარეიშვილის სამედიცინო ცენტრი“
- შპს „სტომატოლოგიური პოლიკლინიკა–პრიმადენტი“
- ქუთაისის №3 ბავშვთა პოლიკლინიკა
- სამედიცინო სამკურნალო ცენტრი „გერგილი“

სასწავლო ლაბორატორიები (უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული):

- გენეტიკის ლაბორატორია
- მიკრობიოლოგიის ლაბორატორია
- ჰერბარიუმი-ბოტანიკის ლაბორატორია
- ანალიზურის ქიმიის ლაბორატორია
- არაორგანული ქიმიის ლაბორატორია
- ორგანული ქიმის ლაბორატორია
- ბიოქიმიის ლაბორატორია
- ფიზიკური და კოლოიდური ქიმიის ლაბორატორია
- ქიმიის სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია
- ფიზიოლოგიის ლაბორატორია
- ნორმალური ანატომიის ლაბორატორია
- მცენარეთა ბიოლოგიის ლაბორატორია
- ციტოლოგია, ჰისტოლოგიის ლაბორატორია
- ეკოლოგია, ზოოლოგიის კაბინეტი
- PBL–ის ტუტორიალის ჩასატარებელი კაბინეტებ

2.1 პერსონალი

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი -14 (7+7)

აკადემიური პერსონალი :

პროფესორი – 8

ასოც. პროფესორი – 16

ასისტენტ-პროფესორი – 9

მოწვეული მასწავლებელი -33 საათობრივად +4 ხელშეკრულებით (სამკურნალო საქმე)

7 საათობრივად, +7 ხელშეკრულებით (სტომატოლოგია-ფარმაცია)

2.2.სტუდენტები

2016-2017 სასწავლო წელს მედიცინის ფაკულტეტზე სტუდენტთა რაოდენობა შეადგენდა სულ 714 სტუდენტს;მათ შორის :

სამკურნალო საქმის (ქართ./ინგლ.) სპეციალობაზე – 409 (249+160)

სტომატოლოგია – 149

რეაბილიტაცია და სამკურნალო ფიზკულტურა (სამაგისტრო პროგრამა) – 2 სტუდენტი

PBL + მედიცინა – 24

ფარმაციის სპეციალობაზე – 125

(საბაკალავრო –112;სამაგისტრო –10,სადოქტორო – 3)

მაგისტრატურა : საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამა – 4; ბიოსამედიცინო ინჟინერია 1 მაგისტრანტი

3.0 სასწავლო პროცესის ძირითადი თავისებურებები

3.1 **ფაკულტეტი ახორციელებს** : სამკურნალო მედიცინის ერთსაფეხურიან ქართულ და ინგლისურენოვან პროგრამებს (6 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა – 360 კრედიტი) და PBL+მედიცინა– პროგრამას (360 კრედიტი); სტომატოლოგიის ერთსაფეხურიან (5 წლიანი საგანმანათლებლო პროგრამა - 300 კრედიტი) , ფარმაციის საბაკალავრო პროგრამას (ოთხწლიანი პროგრამა – 240 კრედიტი), მაგისტრატურას (120 კრედიტი) და დოქტორანტურას (180 კრედიტი);ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა (4 წელი 240 კრედიტი),ასევე მაგისტრატური პროგრამას საზოგადოებრივ ჯანდაცვასა (120 კრედიტი) და ბიოსამედიცინო ინჟინერიაში (ერთობლივი პროგრამა თბილისის სახ.სამედიცინო უნივერსიტეტსა და საქართველოს პოლიტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად).

დიპლომამდელი განათლების დასრულებისას კურსდამთავრებულს ენიჭება „დიპლომირებული მედიკოსის“ და „დიპლომირებული სტომატოლოგის“ აკადემიური ხარისხი დამოუკიდებელი საექიმო უფლების გარეშე, ხოლო ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის, ასევე ფარმაციის სპეციალობაში – ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხით (შესაბამისად) დამოუკიდებელი საქმიანობის უფლება (კანონით დადგენილი წესით).

3.2 **სასწავლო პროცესის ზოგადი შეფასება SWOT – ანალიზის სახით :**

ძლიერი მხარეები :

- ფაკულტეტის არსებობის შედარებით ხანმოკლე ისტორიის ფონზე დაგროვებულია გარკვეული გამოცდილება,რაც იძლევა სასწავლო პროცესის

რაციონალურად დაგეგმვა/წარმართვისა და არსებული რესურსების უფრო ეფექტურად გამოყენების შესაძლებლობას.

- გაზრდილია ფაკულტეტის ცნობადობა და რეპუტაცია, რაზედაც მიუთითებს ყოველწლიურად სტუდენტთა ნაკადის ზრდის დინამიკა
- კლინიკური ბაზების ხელმძღვანელებთან ფაკულტეტის ადმინისტრაციის კონსტრუქციული და უწყვეტი კავშირები სტუდენტებს მეტ შესაძლებლობებს აძლევს ისწავლონ და შეიძინონ გამოცდილება კლინიკურ გარემოში , ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე.
- დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ახალგაზრდებს ,რომელთაც არ აქვთ ფინანსური შესაძლებლობები ისწავლონ დედაქალაქში , ეძლევათ შესაძლებლობა დაეუფლონ მათთვის სასურველ სამედიცინო სპეციალობას აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შედარებით ნაკლები დანახარჯებით,რაც ზრდის ფაკულტეტის ლიკვიდურობას.
- ფაკულტეტს ჰყავს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი და საკმაოდ კარგად მომზადებული ადმინისტრაციული პროფილის თანამშრომლები,რომელთაც აქვთ ფაკულტეტის განვითარების და სწავლების ხარისხის გაუმჯობესების,ასევე ახალი პროგრამების შექმნის უნარები.
- ფაკულტეტს აქვს საერთაშორისო პროექტების განხორციელების გარკვეული გამოცდილება
- ქუთაისის,როგორც რეგიონის სამედიცინო ცენტრის ფუნქციის გაზრდამ განაპირობა კარგად აღჭურვილი სამედიცინო დაწესებულებების რაოდენობის გაზრდა ,რაც ერთის მხრივ სტუდენტების კლინიკური პრაქტიკისათვის უკეთეს გარემოს უზრუნველყოფს, ხოლო მეორე მხრივ, ზრდის მოთხოვნას და შესაბამისად დასაქმების შესაძლებლობებს კვალიფიციური მედპერსონალის/სპეციალისტებისათვის.

სუსტი მხარეები :

- სათანადო ინფრასტრუქტურის: აუდიტორიების და ლაბორატორიების ნაკლოვანება
- არასაკმარისი რესურსები – ტექნიკური საშუალებები, მულაჟები,საინფორმაციო მასალა
- აკადემიური პერსონალის ნაკლები გამოცდილება სხვა ნაციონალური სამედიცინო პროფილის უნივერსიტეტების პერსონალთან შედარებით და მათი მკვეთრად გამოხატული რეზისტენტულობა ცვლილებებისადმი

- ფაკულტეტის მხრივ ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალის განვითარების– სწავლის და კვლევის უნარების გაუმჯობესების სტრატეგიის არ არსებობა;
- კლინიკური უნარ–ჩვევების ლაბორატორიის ჯერ კიდევ არასათანადოდ აღჭურვა (მიუხედავად იმისა ,რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში შეძენილ იქნა შეზღუდული რაოდენობის სხვადასხვა ტიპის მულაჟი და ლაბორატორიის აღჭურვილობა)
- სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან სტუდენტებისა და პედაგოგების გაცვლითი პროგრამების სიმწირე
- ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოების ნაკლებობა(შეზღუდული რაოდენობა)

შესაძლებლობები :

- ფაკულტეტის როლის გაზრდა ახალი პროგრამების შექმნით და იმპლემენტაცით; სწავლების მეორე და მესამე საფეხურის პროგრამების რეალიზაცია.
- მეტი მხარდაჭერის მიღწევა უნივერსიტეტის ადმინისტრაციისაგან სამედიცინო ფაკულტეტისათვის დამატებითი ფართის გამოყოფისა და აუდიტორიების და უნარ–ჩვევების ლაბორატორიის მოწყობასთან დაკავშირებით
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების (PBL) ახალი პროგრამის სრულად იმპლემენტაცია ,რაც გააჩენს სწავლების ხარისხის გაუმჯობესების,თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ გარემოში სწავლის უკეთეს შესაძლებლობას
- არსებული შეფასების მეთოდების მოდიფიცირება უფრო ეფექტური შედეგების მიღწევისათვის;
- დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაუმჯობესება;
- ტრენინგ–პროგრამების რეალიზაცია ადმინისტრაციული პერსონალის უნარ–ჩვევების და კვალიფიკაციის ასამაღლებლად და აკადემიური პერსონალის მიერ სწავლის და სწავლების თანამედროვე მეთოდების ათვისებისათვის

საფრთხეები/რისკები :

- მოთხოვნის შემცირება (რეზიდენტურის განუვითარებლობის,ასევე ზოგადად, სწავლის ხანგრძლივი და ძვირი პროცესის გამო)
- ნაციონალურ დონეზე კონკურენტების მხრიდან უკეთესი სასწავლო პროგრამების და პირობების შეთავაზება

- აკრედიტაციისათვის ახალი მოთხოვნების დაყენება განათლების სამინისტროს მიერ.
- სწავლის საფასურის გაზრდა
- ადამიანური რესურსების/აკადემიური პერსონალის შედარებითი სიმწირე ;
- ხშირი და არათანმიმდევრული ცვლილებების განხორციელება განათლების პოლიტიკის და პრიორიტეტების განსაზღვრის თვალსაზრისით;

3.3 **ფაკულტეტის გრძელვადიანი ამოცანები (2016 – 2021 წლები):**

- სასწავლო პროგრამების მოდერნიზაცია;
- სწავლების/სწავლის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემოს შექმნა;
- აკად. პერსონალის და სტუდენტთა მობილობის გააქტივება;
- სწავლის/სწავლების და შეფასების ახალი მეთოდების დანერგვა;
- სადოქტორო პროგრამების განვითარება;
- სამეცნიერო კვლევაზე ორიენტირება და საერთაშორისო კვლევებში ჩართვა;
- თანამედროვე კლინკური ბაზებით უზრუნველყოფა;
- საერთაშორისო აღიარების მიღწევა; უცხოელი სტუდენტების მოზიდვა .
- საინფორმაციო ტექნოლოგიების მოდერნიზაცია.

3.4 **ფაკულტეტის მოკლევადიანი ამოცანები (2015 – 2016 წლები):**

–ავტორიზაციისათვის მომზადება

–არსებული პროგრამების განახლება / მოდერნიზაცია; პბლ-პროგრამის იმპლემენტაცია

–დოქტორანტურის პროგრამის მომზადება საზოგადოებრივ ჯანდაცვაში

–კლინიკური უნარ-ჩვევების ცენტრის დამატებითი აღჭურვა;

–ხარისხის კულტურის დანერგვა

–უცხო ენების სწავლების სრულყოფა

–დისტანციური სწავლების განვითარების დაწყება.

4.0 მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

საქმიანობის წესი განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდებით და მედიცინის ფაკულტეტის დებულების შესაბამისი მუხლით.სამსახურის ძირითადი ამოცანებია :

ა) ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესების რეგულარული შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ბ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;

გ) საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლოდაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის მონიტორინგის და უზრუნველყოფის სრულყოფილი მეთოლოგიების ჩამოსაყალიბებლად თანამშრომლობა ;

დ)ფაკულტეტის ფარგლებში ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის ღონისძიებების განხორციელება.

4.1 ფაკულტეტზე ხარისხის შეფასების კომპონენტებია :

- ✓ სტრუქტურის შეფასება
- ✓ პროცესის შეფასება და
- ✓ შედეგის შეფასება

სტრუქტურის შეფასებაში მოიაზრება : ტექნიკური ასპექტების/რესურსების შეფასება;ასევე ადამიანური კონტექსტი /ადამიანური რესურსების შეფასება. შეფასების **ინსტრუმენტებია :** რაოდენობრივი და ხარისხობრივი კვლევა .

პროცესის შევფასებაში მოიაზრება : სასწავლო პროცესის მონიტორინგის კრიტერიუმების განსაზღვრა/შეფასება; პროგრამების,სილაბუსების შეფასება დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით **,** ლექციის წარმართვის შეფასება დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. შეფასების **ინსტრუმენტებია :** ურთიერთდასწრების ოქმები; გამოკითხვა (სტუდენტები;აკად.პერსონალი); პირისპირ ინტერვიუ სტუდენტებთან; დოკუმენტაციის ექსპერტიზა.

შედეგის შეფასებაში მოიაზრება : პირდაპირი შედეგები (აკადემიური მოსწრება და კურსდამთავრებულთა დასაქმება); არაპირდაპირი შედეგი (სტუდენტთა და დამსაქმებელთა

კმაყოფილების ხარისხი უნივერსიტეტში მიღებულ განათლებასთან მიმართებაში) და შედეგებზე რეაგირება ;შეფასების **ინსტრუმენტებია :** აკადემიური მოსწრების ანალიზი; აკადემიური პერსონალის თვითშეფასების მონაცემები; კურსდამთავრებულთა დასაქმების ანალიზი; დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი; კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ხარისხის კვლევის შედეგების ანალიზი

4.2 აქტივობები 2016 წლის მიხედვით :

- ხელშეწყობილი და მონიტორირებულ იქნა ფაკულტეტზე მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების პროცესი და შევსებული თვითშეფასების კითხვარი შესაბამის ვადებში გაიგზავნა განათლების სამინისტროში ; ამავე დროს განხორციელდა პროგრამების შიდა თვითშეფასება;შევსებულ იქნა შესაბამისი ოქმები;

- 2016 წელს აკრედიტაცია გაიარა შემდეგმა პროგრამებმა : სამაგისტრო პროგრამა „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა“, საბაკალავრო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“,სადოქტორო პროგრამა „ფარმაცია“ და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა „ფარმაცია“ ,ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კურიკულუმის საბჭოსთან ერთად აქტიურად მუშაობდა პროგრამების ხელმძღვანელებთან, მასში ჩართულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან,ახდენდა პროგრამების და სილაბუსების დახვეწასა და შეფასებას ე.წ.SWOT ანალიზის სახით.

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა მობილობის პროცესში. მობილობის და აღდგენების პროცესის ხელშეწყობა და წარმართვა განხორციელდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწოდებული ახალი რეგულაციის შესაბამისად;

- დროულად დასრულდა 2016 წელს კურსდამთავრებულთა დიპლომების დანართების მომზადება და გადაცემა ;

- კურსდამთავრებულთა რეესტრი შეივსო 2016 წლის კურსდამთავრებულთა მონაცემებით.

- 2016 წლის გაზაფხულის სემესტრის აკადემიური მოსწრების ანალიზი და შესაბამისად, პროგრამულად დამუშავებული მონაცემები განხილულ იქნა დეპარტამენტების და ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე.

- სასწავლო კურსების შემაჯამებელი გამოცდების ფორმისა და შინაარსის მონიტორინგის მიზნით მედიცინის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ გაანალიზდა სამკურნალო მედიცინის ,ფარმაციის და სტომატოლოგიის პროგრამების სხვადასხვა კურსის სილაბუსების დასკვნითი გამოცდის შეფასებები და მათ საფუძველზე მომზადდა რეკომენდაციები,რომელიც განხილულ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე.პროგრამების ხელმძღვანელებს მიეცათ შესაბამისი მითითებები და მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ზოგიერთი კურსის დასკვნითი გამოცდა ჩატარდეს არა მხოლოდ ტესტური, არამედ ზეპირი გამოცდის კომპონენტის დამატებით.

- სასწავლო პროცესის მონიტორინგის მიზნით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილი და ფაკულტეტის საბჭოზე დამტკიცებული კითხვარების მიხედვით 2016 წლის გაზაფხულის სემესტრის დასრულების წინ ჩატარდა გამოკითხვები : ერთსაფეხურიანი ქართული და ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამის,ასევე ფარმაციისა და სტომატოლოგიის პროგრამების სტუდენტებთან,მაგისტრებთან,აკადემიურ პერსონალთან და დამამთავრებელი კურსის სტუდენტებთან; გამოკითხვების შედეგების თაობაზე (შესაბამისი რეკომენდაციებით) მოხსენდა ფაკულტეტის საბჭოს, ზოგადი ინფორმაცია მიეწოდა პროგრამების ხელმძღვანელებს და აკადემიურ პერსონალს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის გაერთიანებულ სხდომაზე,ასევე ინდივიდუალური გასაუბრების რეჟიმში. გამოკითხვის პროცესში ტუტორები აქტიურად იყვნენ ჩართულები

- ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა სტუდენტთა მიერ პროფესორ–მასწავლებელთა შეფასების კითხვარის ანალიზით მიღებული შედეგები

- განხორციელდა 2016 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეკრება/ანალიზი

- აკრედიტირებულ ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე „მედიცინა+PBL“ ჩარიცხულ სტუდენტებთან ჩატარდა შეხვედრები და შესაბამის აკადემიურ პერსონალის ჩართულობით წარიმართა ინტენსიური დიალოგი პროგრამის სპეციფიურობიდან გამომდინარე საკითხებთან დაკავშირებით;

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ იქნა მოქმედი ყველა პროგრამის პირველი კურსის ლექცია–პრაქტიკულებზე ურთიერთდასწრების გრაფიკი, შეფასების კრიტერიუმების ფორმა და ოქმის ნიმუშები.გაანალიზდა მიღებული მონაცემები და მომზადდა რეკომენდაციები გამოკვეთილი შენიშვნების შესაბამისად

- 2016 წლის შემოდგომის სემესტრის ბოლოს გამოიკითხა ფაკულტეტის სამკურნალო,მედიცინა+ PBL,სტომატოლოგიური და ფარმაციის პროგრამების პირველი კურსის სტუდენტები და შედეგები რეკომენდაციებით გადაეგზავნათ ფაკულტეტის დეკანს, დეპარტამენტების უფროსებს და პროგრამის ხელმძღვანელებს .ახლადარჩეული ტუტორების მონაწილეობით მიმდინარეობს სხვა სტუდენტების გამოკითხვა და მონაცემთა დამუშავება.

- 2016 წელსვე განხორციელდა სტუდენტთა მიღება სამაგისტრო პროგრამაზე „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა“, საბაკალავრო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“,სადოქტორო პროგრამაზე „ფარმაცია“.ჩარიცხულ სტუდენტებთან , ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ,გაიმართა შეხვედრები . მათ მიეცათ შესაბამისი მითითებები და განმარტებები სასწავლო პროცესის ორგანიზებასთან მიმართებაში. სადოქტორო პროგრამაზე დოქტორანტთა მიღებასთან დაკავშირებით , ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მონაწილეობით შეიქმნა და დამტკიცდა მედიცინის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულება და საბჭოს შექმნასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები.

- ტუტორების ჩართულობით ჩატარდა სამკურნალო მედიცინის,სტომატოლოგიის,ფარმაციის და მედიცინა+PBL პროგრამების პირველი კურსის სტუდენტთა გამოკითხვა. ანალიზით მიღებული მონაცემების შესახებ ინფორმაცია/რეკომენდაციებითურთ განხილვისათვის გაეგზავნათ შესაბამისი დეპარტამენტების და პროგრამების ხელმძღვანელებს.ამჟამად მიმდინარეობს სხვა კურსების სტუდენტების გამოკითხვა და მაგისტრების გამოკითხვის შედეგების დამუშავება.

- აკადემიური პერსონალის და მოწვეული სპეციალისტების ინდივიდუალური დატვირთვების მონიტორინგის ფარგლებში ამჟამად მიმდინარეობს შეკრებილ მონაცემთა ანალიზი,რომლის დასრულებისთანავე შედეგები წარედგინება ფაკულტეტის საბჭოს.

- წლის განმავლობაში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული სტუდენტების ინფორმირებულობის ხარისხის

გაზრდისათვის სხვადასხვა ღონისძიებების (მათ რიცხვში საინტერესო ადამიანებთან შეხვედრების/პროექტები:“ სტუმრად ექიმებთან“ და „ექიმები თეთრი ხალათების გარეშე“, „ წლის სტუმარი“) ,ასევე სტუდენტური კონფერენციების ორგანიზების პროცესში.

- დაგეგმილია ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 სასწავლო წლის განმავლობაში შესრულებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის წარდგენა ფაკულტეტის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე

პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

ხელმძღვანელის ასოც. პროფ. მამული ბუჭუხიშვილის

მიერ 2015-2016 სასწავლო წლის გაწეული მუშაობის

ანგარიში

პედაგოგიურ ფაკულტეტზე ამჟამად მოქმედებს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები: 1. დაწყებითი განათლება (კვალიფიკაცია განათლების ბაკალავრი) 2. მასწავლებლის მოსამზადებელი (ერთწლიანი) საგანმანათლებლო პროგრამა (კვალიფიკაცია მასწავლებელი) 3. განათლების მეცნიერებები და მართვა (კვალიფიკაცია განათლების მეცნიერებების მაგისტრი) 4. განათლების მეცნიერებები (კვალიფიკაცია განათლების დოქტორი).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში სასწავლო წლის დასაწყისიდან დაიწყო მუშაობა 2017 წლის აკრედიტაციისათვის. ამ მიზნით,შემუშავებულია მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამებში გასატარებელი ცვლილებებისათვის საჭირო წინადადებები. კერძოდ:ცვლილება კანონში „უმაღლესი განათლების შესახებ“ (№4582-Iს - 27/11/2015)და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის წერილი (mes 0100086046,02/02/2016.) საფუძველზესამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში “განათლების მეცნიერებები და მართვა“, შეტანილია ნაწილობრივი ცვლილება. პროგრამაზე მიღების წინაპირობები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: მაგისტრატურაში მიღების წინაპირობა გახდა შესაბამისი განათლების ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. აღნიშნული ცვლილება განხილული და დამტკიცებული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე. (ოქმი #13 22.02.2016.).

სააკრედიტაციო მოთხოვნებიდან გამომდინარე,განსაკუთრებული ყურადღება მივაქციეთ მასრწავლებლის მოსამზადებელი ერთწლიანი პროგრამის მომზადებას. რომელიც შესაბამისობაში მოვიყვანეთ საგანმანათლებლო სტანდარტის მოთხოვნებთან, პროგრამის განხილვა მიმდინარეობდა დინამიკაში, სწავლების მეთოდიკათა და პედაგოგიკის დეპარტამენტებში და მიღებული შედეგები მტკიცდებოდა ფაკულტეტის საბჭოზე. (ოქმი #4. 24.12.2015; (ოქმი #5. 28.01.2016; გაერთიანებული სხდომის

ოქმი#2.16.02.2016). მიღებული დადგენილებების საფუძველზე მომზადდა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დასკვნა პროგრამის შესახებ. პროგრამა განხილული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე (ოქმი #14 16.03.2016) და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხდომაზე, რის შემდეგაც დასამტკიცებლად წარედგინა აკადემიურ საჭოს. (ოქმი #6.24. 02.2016)

მასწავლებლის მოსამზადებელი ერთწლიანიპროგრამა, რომელიც მოიცავს 12 მოდულს, აკრედიტაცია გაიარა 2016 წლის მარტში (საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილება #3 17.03.2016).

ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო წელს აქტიური მუშაობა მიმდინარეობდა საპილოტე მოდულური პროგრამების ასამოქმედებლად. ამ მიზნით უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად სისტემატიურად განიხილებოდა მოდულური პროგრამების ამოქმედებისათვის საჭირო საკითხები, (ოქმი #5.10.02.2016; ოქმი #30.9.11.2015). აქედან გამომდინარე ფაკულტეტზე შეიქმნა შიგა მხარდაჭერის ჯგუფი, რომელსაც გააჩნდა გაწერილი სამოქმედო გეგმა და ჯგუფი მის შესაბამისად წარმართავდა მუშაობას (ოქმები: #1.14.04.2016; #2.05.05.2016; #3.10.05.2016; #4.17.05.2016; #5.03.06.2016; #6.11.07.2016; #7.13.07.2016;).ამჟამად ფაკულტეტზე ხორციელდება ორი მოდულური პროგრამა: „ბაგა-ბაღის აღმზრდელი მასწავლებელი“ და „ბიბლიოთეკარი“. პროგრამის ხორციელდება მოქმედი აკადემიური პერსონალის, განათლების მეცნიერებებისა და მართვის სპეციალობის მაგისტრანტებისა და განათლების მეცნიერებების დოქტორანტების მიერ. უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ძალისხმევით მიღწეული იქნა, რომ სასაწავლო პროცესი ძირითადად მიმდინარეობს ელექტრონული ფორმატით. ამ პერიოდისათვის დამთავრებულია 13 მოდული, რომელთა სწავლებაში გამოიკვეთა ბევრი საინტერესო მიდგომა და დაინერგა სწავლების თანამედროვე მეთოდები. პროგრამის მიმდინარეობისას განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის ეგიდით სამჯერ განხორციელდა პროგრამის მონიტორინგი.ექსპერტებმა პირველ შეხვედრაზე გაგვიზიარეს სხვადასხვა უმაღლესი სასაწავლებლებისა და პროფესიული კოლეჯების გამოცდილება, მოდულური პროგრამების სწავლების შესახებ და მაღალი შეფასება მისცეს, აკაკი წერეთლის

სახელმწიფო უნივერსიტეტში განსახორციელებელი საპილოტე პროფესიული პროგრამების მიმდინარეობის პროცესს.

სტუდენტთა მაღალი აკადემიური მოსწრებისა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი ეკისრება ლექტორ-მასწავლებელთა მიერ ურთიერთ გამოცდილების გაზიარებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვას. ამ მიზნით, ფაკულტეტზე საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანზებით დაიგეგმა სხვადასხვა სახის ტრენინგები, სადაც აქტიურად იყვნენ ჩართული ფაკულტეტია აკადემიური პერსონალი. (2016 წელი: 29 მარტი- პლაგიატის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; 24-25-26 მარტი- პროფესიული პროგრამების მასწავლებელთა ტრენინგი;15-17 მარტი- „ზრდასრულთა სწავლების მეთოდები“; „გამოყენებითი კვლევა სასწავლო პროცესში“). ტრენინგების გავლის შემდეგ, უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრში 2016 წლის 30-31 მარტს პედაგოგიური ფაკულტეტის თანამშრომლებისათვის ჩავატარეთ ანალოგიური სახის ტრენინგები მოცემულ თემებზე.

ხარისხის სამსახურის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია არის მობილობის განხორციელების ხელშეწყობა, ამ მიზნით ფაკულტეტზე შეიქმნა მობილობის ხელშემწყობი კომისია, (ბრძან. #8 §7 20.01.2016) რომლისშემადგენლობაშიც შევიდნენ: ფაკულტეტის დეკანი, ასოც. პროფ. ვ. ადეიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), დეკანის მოადგილე ასოც. პროფ. მ. დეისაძე, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი ასოც. პროფ. მ. ბუჭუხიშვილი, პედაგოგიკის დეპარტამენტის კოორდინატორი ასოც. პროფ. მ. ახვლედიანი და ფაკულტეტის მდივანი ხ. ჩიხლაძე. დროულად განისაზღვრა შიგა და გარე მობილობისათვის გამოყოფილი ვაკანტური ადგილების რაოდენობა, რომელიც განხილული და დამტკიცებული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე. მონაცემები გადაეცა საუნივერსიტეტო მობილობის ხელშეწყობის განყოფილებას. ინფორმაცია, სამინისტროს მიერ დადგენილი შიგა და გარე მობილობის ვადების შესახებ, განთავსებული იქნა მობილობის მსურველი სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

კომისიამ განიხილა მობილობის მსურველთა განცხადებები ჩატარდა შესაბამისი სხდომები, (ოქმები: #1-9 14.02.2016-23.02.2016).დადგინდა სტუდენტთა მიერ ათვისებული კრედიტების თავსებადობა, მოქმედი პროგრამის სემესტრების შესაბამისად, რაც დროულად ეცნობა მობილობის მსურველ თითოეულ სტუდენტს და თანხმობის შემთხვევაში მომზადდა ბრძანების პროექტი, რის საფუძველზეც რექტორის მიერ გამოიცა შესაბამისი ბრძანება სტუდენტთა მობილობის შესახებ.

სტუდენტთა ლექცია პრაქტიკუმებზე დასწრება და სხვა აქტივობები წარმოადგენენ მაღალი აკადემიური მოსწრების წინაპირობას. ამ მიზნით სისტემატიური მონიტორინგი მიმდინარეობს როგორც ლექციების ჩატარებაზე, ასევე სტუდენტთა დასწრებაზე. შემოტანილი იქნა სტუდენტთა ლექციებზე დასწრებისა და აქტივობის აღრიცხვის ჯურნალის განახლებული ფორმა, რომელსაც იყენებდა თითოეული საგნის პედაგოგი.

გამოცდების მიმდინარეობის მაღალ დონეზე ორგანიზების მიზნით, დეპარტამენტებს საგამოცდო ვადების დაწყებამდე,მოვთხოვეთ საგამოცდო საკითხების შეჯერებულივარიანტები(სილაბუსთან შესაბამისობაში, როგორც ელექტრონული ასევე ნაბეჭდი ვერსიები), რომელიც წინასწარ იქნას მიწოდებული საგამოცდო ცენტრისათვის. ასევე სავალდებულოა, საკითხები გახდეს ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის. გარკვეულწილად ვახდენთ მონიტორინგს საგამოცდო პროცესის მიმდინარეობაზე და ბრძანებით განსაზღვრული საგამოცდო ვადების დაცვაზე.

შემაჯამებელი გამოცდების დამთავრებისთანავე ვახდენთ აკადემიური მოსწრების პირველადი შედეგების ანალიზს. მონაცემებს დავიტნთ გაუსის მრუდზე. შედეგებს ვამუშავებთ როგორც სტატისტიკურად, (ვადგენთ სვეტოვან დიაგრამებს) ასევე გრაფიკულად. პირველადი შედეგების ანალიზის პრეზენტაციას ვახდენთ დეპარტამენტების გაერთიანებულ სხდომაზე. (ოქმი #6 4.03.2016) და ვამტკიცებთ ფაკულტეტის საბჭოზე (ოქმი #14. 16.03.2016).

აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაციისა და დარგში მიღწეული თუ მისაღწევი შედეგების ინფორმირების მიზნით, სისტემატიურად ხდება პროფესორის მიერ კალენდარული წლის განმავლობაში შექმნილი სახელმძღვანელოების, გამოქვეყნებული სამეცნიერო მონოგრაფიების, სტატიების, სამეცნიერო კონფერენციებში და ტრენინგებში მონაწილეობის ანალიზი. შესაბამისი დოკუმენტური მასალა გადაეცემა უნივერსიტეტის სამეცნიერო განყოფილებას, ასევე ჯამდება აკადემიური პერსონალის მიერ აკადემიური წლის განმავლობაშიგეგმით გათვალისწინებული სასწავლო და სამეცნიერო დატვირთვის შესრულება. რომელიც განიხილება დეპარტამენტ სხდომაზე (ოქმი #7 28.06.2016) და მტკიცდება ფაკულტეტის საბჭოზე (ოქმი #16. 14.07.2016)

პედაგოგიური ფაკულტეტის სპეციფიკიდან გამომდინარე დაწყებითი განათლების სპეციალობის სტუდენტებისათვის მეშვიდე და მერვე სემესტრებში გათვალისწინებულია პედაგოგიური პრაქტიკის გავლა სკოლაში, თითოეულ სემესტრში 5 კვირის განმავლობაში. ამ მიზნით საუნივერსიტეტო პრაქტიკის ხელმძღვანელთან შეთანხმებით შერჩეულ იქნა ქუთაისში მდებარე რამდენიმე საჯარო სკოლა რომლებთანაც გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულება და სტუდენტები სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ პედაგოგიურ პრაქტიკას გადიან აღნიშნულ სკოლებში.

სტუდენტებთან მეტი კომუნიკაციის მიზნით, პედაგოგიურ ფაკულტეტზე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის შედგა შეხვედრათა განრიგი, რომლის მიხედვითაც ჩატარდა შეხვედრები სტუდენტებთან კურსების მიხედვით.სტუდენტებთან შეხვედრებს ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან ერთად ესწრებოდნენ, უნივერსიტეტის რექტორატისა და ხარისხის სამსახურის წარმომადგენლები.შეხვედრაზე დაისვა სტუდენტებისათვის აქტუალური სხვადასხვა საკითხი, დიალოგი გაიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში.

მიმდინარე სასწავლო წელს პედაგოგიურ ფაკულტეტზე, სამაგისტრო პროგრამა განათლების მეცნიერებები და მართვა, კვალიფიკაციით განათლების მეცნიერებების

მაგისტრი, დაამთავრა 21 სტუდენტმა. მათთვის დროულად მოხდა სამაგისტრო თემების დამტკიცება (ბრძანება #182 §2 12.11.2015), შეიქმნა კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისია (ბრძანება #108 §928.06.2016), დაიწერა შესაბამისი რეცენზიები, დაინიშნა წინასწარი დაცვა, (ბრძანება #77 §11 13.05.2016) და კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიი გადაწყვეტილებით (ბრძანება #117 §6 11.07.2016), კურსდამთავრებულებს მიენიჭათ განათლების მეცნიერებების მაგისტრის აკადემიური ხარისხი. (მათ შორის 5 წარჩინებით).

ანალოგიური პროცედურების გავლით, მიმდინარე სასწავლო წელს დაწყებითი განათლების ბაკალავრიატის 83 კურსდამთავრებულს (მათ შორის 21 დამათებითი სემესტრის) მიენიჭა განათლების ბაკალავრის აკადემირი ხარისხი (მათ შორის 8 წარჩინებით). მიმდინარე სასწავლო წელს ასევე ბაკალავრის აკადემიური ხარისხი მიენიჭა დამატებითი სემესტრის 20 კურსდამთავრებულს. კურსდამთავრებულებიდან რამდენიმე სტუდენტს მიეცა რეკომნდაცია დახასიათება დასაქმების კუთხით. სამი სტუდენტი ჩართულია ეროვნული უმცირესობებისთვის მოცემულ პროგრამაში „ასწავლე საქართველოსთვის“ .

ზემოთ აღნიშნული ღონისძიებები მიმართულია სტუდენტთა აქტივობების გასაძლიერებლად, რაც წარმოადგენს მაღალი აკადემიური მოსწრებისა და მაღალკვალიფიციური მასწავლებლის მომზადების წინაპირობას.

პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის

სამსახურის ხელმძღვანელი : ასოც. პროფ. მ. ბუჭუხიშვილი

10.01.2017

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

2016 წლის ანგარიში

---

in medias res

სარჩევი

1. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

2. ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესებისათვის მზადება

3. ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პროცესში ჩართულობა

4. პროფესიული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა

1. საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახური შეიქმნა ფაკულტეტის ჩამოყალიბებასთან ერთად 2006 წელს. სამსახურის აპარატის შემადგენლობაში შედის:

პაატა გერაძე - საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

დავით ხუსკივაძე - საინჟინრო-ტექნიკური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, ინჟინერ ტექნიკოსი.

ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ფუნქციები განსაზღვრულია ფაკულტეტის დებულების შესაბამისი მუხლით (იხ. ამონარიდი)

> მუხლი 19. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური
>
> 1. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური არის ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, აგრეთვე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასების მიზნით შექმნილი ორგანო.
> 2. სამსახურის საქმიანობის წესი განისაზღვრება უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით.
> 3. სამსახურის ფუნქციები და ამოცანებია:
>
> ა) ფაკულტეტზე მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესების რეგულარული შეფასება და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;
>
> ბ) ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;
>
> გ) საქართველოს და უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლოდაწესებულებების შესაბამის სამსახურებთან ხარისხის მონიტორინგის და უზრუნველყოფის სრულყოფილი მეთოლოგიების ჩამოსაყალიბებლად თანამშრომლობა ;
>
> დ)ფაკულტეტის ფარგლებში ავტორიზაციისა და აკრედიტაციისათვის ღონისძიებების განხორციელება.
>
> . . . .
>
> 5. სამსახურს ხელმძღვანელობს სამსახურის უფროსი, რომელსაც ირჩევს ფაკულტეტის საბჭო, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის წარდგინებით.
>
> 6. სამსახურის უფროსი შეიძლება იყოს უნივერსიტეტის სრული ან ასოცირებული პროფესორი.
>
> . . . .
>
> 8. სამსახური პასუხისმგებელია მასზე დაკისრებული ფუნქციებისა და ამოცანების შესრულებაზე.
>
> 9. სამსახურის უფროსი უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტის დეკანს და საბჭოს წარუდგენს ანგარიშს სამსახურის საქმიანობის შესახებ.
>
> 10. სამსახურში უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შესაბამისად შეიძლება განისაზღვროს კურიკულუმის სპეციალისტის, კრედიტ-კოორდინატორისა და სპეციალისტის თანამდებობები.

2. ავტორიზაციის და აკრედიტაციის პროცესებისათვის მზადება

- ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული იქნა მოქმედი აკადემიური პროგრამების შიგა შეფასების პროცედურა. შესწავლილი იქნა პროგრამების დოკუმენტური უზრუნველყოფა, ხლმძღვანელისა და პერსონალის კვალიფიკაციის შესაბამისობა პროგრამის მიზნებთან და მისაღწევ შედეგებთან. კურიკულუმის შიგა სტრუქტურა და მისი შესაბამისობა კურსების სილაბუსებთან. ყოველი პროგრამისათვის შედგენილი იქნა შიგა შეფასების ანგარიში. აღნიშნული ანგარიშები გადაეცა პროგრამების ხელმძღვანელებს. პროგრამებში გამოვლენილი ხარვეზების გასასწორებლად ხელმძღვანელებს მიეცათ დრო თვითშეფასების ანგარიშების მომზადებამდე.
- დეპარტამენტების აკადემიურ პერსონალს მიეწოდა ინფორმაცია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული პროგრამის კურიკულუმისა და კურსის სილაბუსის ახალი ფორმების შესახებ.
- დეპარტამენტებში მოხდა არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დოკუმენტაციის ახალ ფორმებში გადაყვანის კოორდინაცია.
- ფაკულტეტზე მოქმედი აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელების მიერ ხარისხის სამსახურთან კოორდინაციაში მომზადებული იქნა პროგრამის SWOT ანალიზი და თვითშეფასების ანგარიშები, რომლებშიდაც აღწერილია ახალი სასწავლო წლისათვის პროგრამების მზადოფნა და ცვლილებები. მომზადებული თვითშეფასებების ანგარიშები შესაბამისი პროგრამების ელექტრონულ პაკეტებთან ერთად განხილული იქნა დეპარტამენტების სხდომებზე, ხარისხის სამსახურში და ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოზე. ამ უკანასკნელის რეკომენდაციით წარდგენილი იქნა უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.
- ფაკულტეტის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა ინსტიტუციური ავტორიზაციის ახალი სტანდარტების განხილვის პროცესში.

3. ხარისხის უზრუნველყოფის საუნივერსიტეტო პროცესში ჩართულობა

- ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ტუტორთა ინსტიტუტი, სადაც ჩართული არიან მეორე, მესამე კურსის სტუდენტები. ფაკულტეტზე მათ მოვალეობაში შედის:1. პირველკურსელ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება. 2. ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირება. 3. მონაწილეობის მიღება სტუდენტებისათვის კითხვარების შემუშავებასა და გამოკითხვაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.ფაკულტეტის ტუტორებს 2016 წელს უნივერსიტეტის ხუს-მა გადასცა სერთიფიკატები.
- მომზადდა ინფორმაცია 2016 წლის დამამთავრებელი კურსების სპეციალობების მიერ განვლილი სასწავლო კურსებისა და კურსდამამთავრებელთა შესახებ დიპლომის დანართების შევსების მიზნით. ინფორმაციის სათანადოდ დამუშავების შემდგომ მომზადდა და დეკანატს გადაეცა დიპლომის დანართების ფორმები სპეციალობებისა და სპეციალიზაციების მიხედვით; შემოწმდა დიპლომების დანართების შევსების სისწორე. ჩატარებული იქნა 2013 წლის შემდეგ მიღებული და ბაკალავრის ხარისხის მინიჭებული სტუდენტების დინამიკის ანალიზი აკადემიური პროგრამების მიხედვით:

სასწავლო წელი	ჩაირიცხა I კურსზე	მობილობით გადავიდა	მობილობით დაემატა	ამჟამად სწავლობს	დაამთავრა და კვალიფიკაცია მიენიჭა
პროგრამის დასახელება: _____ელექტრული ინჟინერია_____					
2012-2013	46		10	20	26
2013-2014	60		10	64	
2014-2015	65		10	77	
2015-2016	67		8	67	
2016-2017	65			66	

სასწავლო წელი	ჩაირიცხა I კურსზე	მობილობით გადავიდა	მობილობით დაემატა	ამჟამად სწავლობს	დაამთავრა და კვალიფიკაცია მიენიჭა
პროგრამის დასახელება: _____მშენებლობა____					
2012-2013	20		4	9	11
2013-2014	36		6	27	
2014-2015	42		14	60	
2015-2016	60		2	60	
2016-2017	58			59	

- მომზადდა საგაზაფხულო და საშემოდგომო სემესტრებში სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ანალიზი. შესწავლილი იქნა აკადემიური მოსწრების მდგომარეობა ჯგუფების და სასწავლო კურსების მიხედვით. ანალიზის შედეგები განხილული იქნა ფაკულტეტის დეპარტამენტებთან და ფაკულტეტის ჯგუფებთან სასწავლო კურსების წამყვან სხვა დეპარტამენტების პედაგოგებთან ერთად. გამოვლენილი იქნა ხარვეზები სასწავლო კურსების მიხედვით სტუდენტთა მოსწრების მხრივ. კურსებისათვის, რომლებიც იკითხება მცირერიცხოვან ჯგუფებში, განაწილების ხასიათის დადგენა პრაქტიკულად შეუძლებელია (მაგალითად 3-5 კაციან ჯგუფში). ასევე რთული არის ნორმალური განაწილების მიღება რიგ ჯგუფებში სტუდენტთა მიერ მეცადინეობებისა და გამოცდების მასიური გაცდენების გამო. სწავლების პირველი წლის სტუდენტებთან შეინიშნება დაბალი მოსწრება უმაღლესი მათემატიკის შესაბამის კურსებში: მათემატიკური ანალიზი და

ალბათობის თეორია(დიაგრამების ტიპიური მაგალითები ნაჩვენებია ქვემოთ). მოსწრების ანალიზმა და პედაგოგების გამოკითხვამ აჩვენა, რომ აღნიშნული გამოწვეულია მათემატიკაში საბაზისო ცოდნის დაბალი დონით. კურსების წამყვან პედაგოგებს რეკომენდაცია მიეცათ შემდგომში მიღებული შედეგების გათვალისწინებით და ჯგუფის სიძლიერის მიხედვით მოახდინონ სგამოცდო საკითხების მოდერნიზაცია.ანალიზის შედეგები განხილული იქნა შესაბამის დეპარტამენტებთან ერთად. გამოვლენილი იქნა ხარვეზები რიგი სასწავლო კურსების მიხედვით სტუდენტთა მოსწრების მხრივ. შედეგები განხილული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე.





- ჩატარებული იქნა პირველკურსელ სტუდენტთა გამოკითხვა მათემატიკური კურსების სწავლების პროცესის შეფასების მიზნით. მათემატიკური სასწავლო კურსების სწავლებასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიკაციისა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიებისათვის ფაკულტეტზე ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვები. სტუდენტების მიერ მათემატიკის შესწავლის სირთულეების შეფასებისას გამოიკვეთა, რომ მათი პროცენტული რაოდენობა, ვინც სირთულეებს არ აწყდება ემთხვევა დადებითი შეფასების მიმღებ სტუდენტთა პროცენტულ მაჩვენებელს. მთავარ სირთულედ ფიქსირდება პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტასთან დაკაშირებული სირთულეები. საბაზო მათემატიკური ცოდნისა და პრაქტიკული უნარჩვევების არქონის გამო ვერ იყენებენ მიღებულ ინფორმაციას პრაქტიკაში. სირთულეების მიზეზების კვლევამ აჩვენა, რომ ძირითად პრობლემად იკვეთება მათემატიკაში დაბალი საბაზო ცოდნის დონე. გამოკითხულთა 40%-ის აზრით მთავარია ინფორმირებულობის ხარისხის გაზრდა.





- ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის მიერ ჩატარებული იქნა კურსდამთავრებულთა გამოკითხვები. შექმნლი იქნა დამამთავრებელი კურსის სტუდენტების მონაცმთა ბაზა.2014-2015 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა 2016 წლის მარტის თვეში ჩატარებული კამოკითხვის შედეგებით კვალიფიკაცია მინიჭებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 41-ს. გამოკითხვის პროცესში დაკავშირება მოხერხდა 35 რესპოდენტთან. ვერ მოხერხდა 6-თან დაკავშირება. გამოკითხულ კურსდამთავრებულთაგან არ მუშაობდა 8; მაგისტრატურაში სწავლას

აგრძელებდა 14. მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურში - 8. 2016 ნოემბერში ჩატარებული კამოკითხვის შედეგებით: გამოკითხვის პროცესში დაკავშირება მოხერხდა 25 რესპოდენტთან. ვერ მოხერხდა 16-თან დაკავშირება. გამოკითხულ კურსდამთავრებულთაგან არ მუშაობს 4; მაგისტრატურაში სწავლას აგრძელებს 4. მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურშია 10.2015-2016 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა 2016 წლის ნოემბრის თვეში ჩატარებული გამოკითხვის შედეგებით კვალიფიკაცია მინიჭებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა შეადგენს 29-ს. გამოკითხვის პროცესში დაკავშირება მოხერხდა 28 რესპოდენტთან. ვერ მოხერხდა 1-თან დაკავშირება. გამოკითხულ კურსდამთავრებულთაგან არ მუშაობს 6; მაგისტრატურაში სწავლას აგრძელებს 17. მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამის სამსახურშია 11.

- დაგემილი იქნა ყოველკვირეული საინფორმაციო შეხვედრები სტუდენტებთან.
- ფაკულტეტის დეკანატთან კოორდინაციაში შედგენილი იქნა მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გრაფიკები და დადგენილი იქნა სავარაუდო დატვირთვები;
- სამსახურის მონაწილეობით წარიმართა ზაფხულისა და ზამთრის მობილობის პროცესი. ჩატარდა მობილობის შედეგების ანალიზი.
- მიმდინარეობდა სარეიტინგო გამოცდებისათვის მომზადებული ტესტების ანალიზი, განვლილი პერიოდის შედეგების გათვალისწინებით.
- გაკეთდა სამაგისტრო ნაშრომების და სადოქტორო დისერტაციების დაცვების სტატისტიკა და ნაშრომების თემატიკის ანალიზი.
- ჩატარებული იქნა სტიპენდიების განაწილების ანალიზი ფაკულტეტის კურსებისა და ჯგუფების მიხედვით.

მიმართულება	კურსი	მთლიანირაოდენობა	A შეფასება	%	% საერთორაოდენობისმიხედვით	სახ. სტიპენდ
ტრანსპორტი	I	11	0	0	0,000	0
	II	10	0	0	0,000	0
	III	30	1	3	1,449	1
	IV	18	5	28	7,246	2
მშენებლობა	I	59	0	0	0,000	0
	II	58	5	9	3,165	3
	III	27	3	11	1,899	1
	IV	14	3	21	1,899	1
ელ. ინჟინერია	I	79	2	3	0,763	2
	II	78	9	12	3,435	4
	III	65	10	15	3,817	4
	IV	40	7	18	2,672	3
ხარისხისმართვა	I	15	0	0	0,000	0
	II	3	0	0	0,000	0
	III	3	2	67	9,091	1
	IV	1	0	0	0,000	1
კვებისინჟინერია	I	5	0	0		0
სულ	I	169	2	1	0,388	2
	II	149	14	9	2,713	7
	III	125	16	13	3,101	7
	IV	73	15	21	2,907	7

4. პროფესიული პროგრამების დანერგვის ხელშეწყობა

ფაკულტეტზე დაფიქსირებული არის 22 საგნობრივი პროფესიული პროგრამა. მათგან 2015-2016 წლის განმავლობაში აქტიურ რეჟიმში მოქმედებდა შემდეგი პროგრამები

საგნობრივი პროფესიული პროგრამა	2015 წლის მიღება	2016 წლის მიღება
ძრავის შემკეთებელი IV	15	8
ძრავის შემკეთებელი V	5	-
საავტომობილო გზებისა და აეროდრომების მშენებელ-ტექნიკოსი III	21	25
ავტომობილის ზეინკალი IV	11	-
სამაცივრო მოწყობილობების ტექნიკოსი IV	18	8
ელექტრიკოსი IV	13	13
სავალი ნაწილის ტექნიკოსი IV	5	11
სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი V	20	-
მექანიკის ინჟინერიის ტექნიკოსი IV	27	7
ავტომობილის შემკეთებელი ელექტროტექნიკოსი	16	7

ფაკულტეტის ხარისხის სამსახური დეკანატის წარმომადგენლებთან ერთად რეგულარულად ახდენს მეცადინეობებზე დაკვირვებას, პროგრამების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მდგომარეობის შემოწმებას და მისი სრულყოფისათვის მუშაობის კოორდინაციას. დეპარტამენტებში შეკრებებზე ხდება არსებული პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სასწავლო კურსების სწავლების პროცესში ხდება სტუდენტების მიერ საკითხების ათვისების დონეზე დაკვირვება და შესაბამისად სილაბუსების ოპტიმიზაციისათვის რეკომენდაციების შემუშავება. პროგრამების წამყვანი პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებსა და სემინარებში, ინტენსიურად თანამშრომლობენ პროფესიული განათლების სფეროში მოღვაწე ინსტიტუციებთან და სასწავლო დაწესებულებებთან მოწინავე გამოცდილების გაზიარებისა და სტუდენტთა კონტიგენტის მოზიდვის მიზნით.

2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში ფაკულტეტზე ამოქმედდა მოდულური პროფესიული პროგრამა „სატრანსპორტო ლოჯისტიკის ოპერატორი“ - პროგრამის ხელმძღვანელი პროფესორი თეიმურაზ კოჩაძე. პირველი მიღებით 20 კაციანი ჯგუფი დაკომპლექტდა სრულიად. მოდულური პროგრამის წარმართვის უზრუნველყოფისათვის შექმნილი არის მხარდაჭერის ჯგუფი პროგრამის ხელმძღვანელის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დეკანის მოადგილის და პროგრამის განმახორციელებელი 2 პედაგოგის მონაწილეობით. მხარდაჭერის ჯგუფის მიერ მომზადებული იქნა საჭირო ბრძანებებისა და რეგულაციების პაკეტი, განისაზღვრა ჯგუფის უფლება-მოვალეობები, შემუშავდა მეცადინეობების ცხრილი, მიმდინარეობს მოდულების კალენდარული გეგმებისმონიტორინგი, შემოწმდა სასწავლო აუდიტორიების აღჭურვა, რეგულარულად ხდება სასწავლო პროცესის ზედამხედველობა და მეცადინეობებზე დასწრება წინასწარ დადგენილი გრაფიკის მიხედვით.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

ჩატარებული სამუშაოს ანგარიში - 2016

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული სამუშაო მოიცავს ორ სასწავლო სემესტრს - 2015-2016 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრს და 2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრს.

2016 წელს აწსუ-ს საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (უფროსი - პროფ. ციცინო თურქაძე, სპეციალისტი - ასოც. პროფესორი ელიზა ფრუიძე) მუშაობა წარიმართა 2015-2016 და 2016-2017 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

სამოქმედო გეგმების შემუშავება წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საქმიანობის ციკლური პროცესის (დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება) პირველ ეტაპს. აღნიშნული გეგმები განხილულ და დამტკიცებულ იქნა ფაკულტეტის საბჭოზე, მათ საფუძველზე შემუშავდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შიდა შეფასების (მონიტორინგის) გრაფიკები. 2015-2016 და 2016-2017 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმები და შიდა შეფასების გრაფიკები წარმოდგენილია დანართი 1 და 2-ის სახით.

<u>2015-2016 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში შესრულებული ძირითადი სამუშაოები</u>

2015-2016 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრში საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სამუშაოები შესრულდა 2015-2016 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, მონაცემთა ანალიზი;
- სტუდენტების გამოკითხვა სწავლების პროცესის შეფასების მიზნით;
- კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და დასაქმების ანალიზი;
- ხარისხის უზრუნველყოფაზე მიმართული კონკრეტული ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების მონიტორინგის შედეგების მიხედვით;
- საგანმანათლებლო პროგრამების ყოველწლიური თვითშეფასებების წარდგენა და რევიზია;
- დიპლომის დანართის შევსების მონიტორინგის სამუშაოები;
- ტუტორების ინსტიტუტის ამოქმედება და მათთან თანამშრომლობა.

2015-2016 სასწავლო წელს ჩატარებული სტუდენტთა გამოკითხვის შედეგად გამოვლინდა <u>ფაკულტეტზე სასწავლო გარემოსა და სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებელი პრიორიტეტული ღონისძიებები.</u> ერთ-ერთი ასეთი საკითხი იყო ფაკულტეტის დეკანატის ადგილმდებარეობა. ფაკულტეტის დეკანატის XIII კორპუსში განთავსება გარკვეულ სიძნელეებს ქმნიდა

სტუდენტებისათვის, რადგან ძირითადი სასწავლო პროცესი მიმდინარეობდა VII და VIII კორპუსში (ფიზიკის, ქიმიის, ელ. ტექნიკის, გამოყენებითი მექანიკის და სხვა სასწავლო კურსების ლაბორატორიები, ორი დეპარტამენტის (ქიმიური და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების დეპარტამენტი და სასურსათო ტექნოლოგიების დეპარტამენტი) სასწავლო-კვლევითი და ლაბორატორიული ბაზა.

აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის წინაშე, დაიგეგმა ფაკულტეტის დეკანატის VII კორპუსში განთავსება, რაც განხორციელდა 2016 წლის საშემოდგომო სემესტრისათვის.

<u>სწავლების ხარისხის ამაღლების მიზნით</u>, ფაკულტეტის საბჭოზე და დეპარტამენტებზე, ლექტორ-მასწავლებლებთან შეხვედრის დროს, განხილულ იქნა სტუდენტთა გამოკითხვისა და აკადემიური მოსწრების შედეგები. გამოკითხვის შედეგების მიხედვით გაანალიზებულ იქნა თითოეული სასწავლო დისციპლინის ძლიერი და სუსტი მხარეები. ფაკულტეტის ხარისხის სამსახურის ჩატარებული ანალიზი და მონაცემები ინდივიდუალურად წარედგინა სასწავლო კურსის განმახორციელებლებს.

2016 წლის საგაზაფხულო სემესტრში მიმდინარეობდა საკონსულტაციო სამუშაოები <u>საბაკალავრო პროგრამების სასწავლო კურსების გაუმჯობესებისათვის</u>. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა აქტიურად იმუშავა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამების მოდერნიზებისა და გაუმჯობესების საკითხებზე, პროგრამის ხელმძღვანელებთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით.

ტრენინგი: ზრდასრულთა სწავლების მეთოდები. 13.04.2016

ტრენინგი: ზრდასრულთა სწავლების მეთოდები. ფასილიტატორი: ელზა ფრუიძე

შეხვედრა ფაკულტეტის სტუდენტებთან. 15.06.2016

ტრენინგი: საუნივერსიტეტო ცოდნის ანალიზი კურსის მონიტორინგი და ევროპული სტანდარტები. 21.06.2016

დაიგეგმა და განხორციელდა ცვლილებები სხვადასხვა სასწავლო კურსის შინაარსისა და სწავლების ფორმების მოდერნიზების მხრივ (მაგალითად, უმაღლესი მათემატიკა, ინფორმატიკა და საინფორმაციო ტექნოლოგიები). აღნიშნული ცვლილებები დამტკიცდა და ძალაში შევიდა 2016 წლის შემოდგომის სემესტრისათვის.

მომზადდა ახალი მაინორ-პროგრამები (60 ECTS კრედიტი):

- ინტერიერისა და ტექსტილის დიზაინი;
- მოდის დიზაინი;
- ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის კონსტრუირება და ტექნოლოგია.

აღნიშნული პროგრამები განხილულ და შეფასებულ იქნა ფაკულტეტის ხუს-ის მიერ და წარდგენილ იქნა შემდგომი პროცედურებისათვის (აკრედიტაციისათვის). 2016 წლის აპრილში ფაკულტეტზე განხორციელდა აკრედიტაციის ექსპერტთა ვიზიტი, მაინორ პროგრამებმა მიიღეს დადებითი დასკვნა, რაც წარმატებით დასრულდა აკრედიტაციის მინიჭებით 2016 წლის სექტემბერში.

აღნიშნული ღონისძიებების გარდა საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა შემდეგ აქტივობებში:

- საუნივერსიტეტო მასშტაბით დაგეგმილი ტრენინგები და სემინარები;
- პროფესიული პროგრამების განვითარების სუბ-სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ახალი სამუშაო ვარიანტის განხილვა;
- საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მომზადება (19-20 მაისი, 2016 წ).

2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში შესრულებული ძირითადი სამუშაოები

2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მუშაობა წარიმართა 2016-2017 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- **2016-2017 სასწავლო წლის საგანმანათლებლო პროგრამების პაკეტის წარდგენა აკადემიურ საბჭოზე დასამტკიცებლად.**

  პერიოდული შიდა შეფასებისა და გამოვლენილი საჭიროებების ასახვის მიდგომების გათვალისწინებით, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მოამზადა და უნივერსიტეტის საბჭოს წარუდგინა 2016-2017 სასწავლი წლის შემდეგი პროგრამების პაკეტები:

  საბაკალავრო პროგრამები:

  – გამოყენებითი დიზაინი (სპეციალიზაციები: კოსტუმის დიზაინი, ტექსტილის დიზაინი);
  – მსუბუქი მრეწველობის ნაკეთობათა ტექნოლოგია;
  – ფარმაცევტული პრეპარატების ქიმია და ტექნოლოგია;
  – სასურსათო ტექნოლოგია;
  – გარემოს დაცვის ინჟინერია და გამოყენებითი ეკოლოგია;
  – მერქნული მასალების ტექნოლოგია.

  სამაგისტრო პროგრამები:

  – მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგია;
  – კოსტიუმის დიზაინი;
  – გარემოს დაცვა და საინჟინრო ეკოლოგია
  – ფარმაცევტული პრეპარატების ტექნოლოგია;
  – სასურსათო ტექნოლოგია;

– ტექსტილის ტექნოლოგიები.

სადოქტორო პროგრამები:

– გარემოს დაცვის ინჟინერია;
– მსუბუქი მრეწველობის ტექნოლოგია და მასალათმცოდნეობა;
– ქიმიურ-ფარმაცევტული და ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების ტექნოლოგია;
– სასურსათო ტექნოლოგია;
– სპეციალური ტექსტილის ტექნოლოგიები და მასალათმცოდნეობა.

- **ტუტორების შერჩევა და მათი აქტივობების დაგეგმვა, პირველკურსელებთან შეხვედრის ორგანიზება და საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები.**

ტუტორი არის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შერჩეული სტუდენტი, რომელიც ბაკალავრის საფეხურის სტუდენტებს უწევს კონსულტაციებს.

2016-2017 სასწავლო წლისათვის საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხუს-მა გასაუბრებისა და სამოტივაციო წერილის საფუძველზე შეარჩია 7 ტუტორი. ტუტორები აქტიურად ჩაერთვნენ მუშაობაში, შედგა საკორდინაციო შეხვედრები, დაიგეგმა პირველკურსელებთან შეხვედრა, მომზადდა საპრეზენტაციო მასალები.

ფაკულტეტის ადმინისტრაციის და პროგრამის ხელმძღვანელების შეხვედრა პირველკურსელებთან

ტუტორებისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შეხვედრა პირველკურსელებთან

- **სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვის კითხვარის შემუშავება და კონსულტაციები; სტუდენტების ელექტრონული გამოკითხვა სწავლების პროცესისა და აკადემიური პერსონალის შეფასების მიზნით.**

2016 წლამდე სტუდენტთა გამოკითხვა მიმდინარეობდა გამოკითხვის მარტივი მეთოდით - ანკეტირების გზით.

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის ზრუნველყოფის სამსახურმა drive.google პლატფორმის გამოყენებით მოამზადა ელექტრონული გამოკითხვის კითხვარი, რომელშიც წარმოდგენილია სასწავლო გარემოს, სასწავლო კურსისა და ლექტორის შეფასების ნაწილები. კითხვარები თითოეული სპეციალობისათვის და ჯგუფისათვის შედგა ინდივიდუალურად, რადგან განსხვავება მდგომარეობდა სასწავლო კურსებში.

შედეგად, 2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრში, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტების გამოკითხვა განხორციელდა მომზადებული ელექტრონული გამოკითხვის ფორმატით. აღნიშნული გამოკითხვის ჩატარებაში აქტიური მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის ტუტორებმა. მათ დატესტეს კითხვარი, მიაწოდეს სტუდენტებს საჭირო ინფორმაცია. მიღებული მონაცემები დამუშავების სტადიაშია და შედეგები წარდგენილი და განხილული იქნება პროგრამის ხელმძღვანელების, განმახორციელებელი პერსონალისა და ფაკულტეტის საბჭოზე.





გაგვიზიარეთ თქვენი მოსაზრება, შენიშვნა თუ რეკომენდაცია სასწავლო პროცესთან დაკავშირებით:





მადლობას გიხდით გამოკითხვაში მონაწილეობისათვის.

მადლობას გიხდით გამოკითხვაში მონაწილეობისათვის.

ამონარიდი კითხვარიდან და გამოკითხვის ზოგიერთი შედეგი





ტუტორები ტესტავენ კითხვარს და ამზადებენ სტუდენტთა გამოკითხვისათვის

- **მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვისა და ხელშეწყობის სამუშაოები.**

2016 წლის 21 ნოემბერს საინჟინრო-ტექნოლოგიურმა ფაკულტეტმა დაიწყო სამი პროფესიული მოდულური პროგრამის განხორციელება:

- დეკორატიული და გამოყენებითი ქსოვილების სპეციალისტი,
- ტანსაცმლის მხატვრული კონსტრუირების სპეციალისტი,
- ავეჯის კონსტრუირების სპეციალისტი.

აღნიშნულს წინ უძღოდა მოსამზადებელი სამუშაოები პროფესიული მოდულური პროგრამების მზაობისათვის. ფაკულტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კოორდინირება გაუწია პროგრამაში ჩართულ პერსონალს, შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნას (ბრძანება შიდა მონიტორინგის ჯგუფის შესახებ), კალენდარული გეგმების მოწესრიგებას, ელექტრონული პორტალის გამართვას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ასრულებს პროფესიული მოდულური პროგრამების მიმდინარეობის კოორდინირებას და მონიტორინგს.

- **ურთიერთდასწრების გზით სასწავლო პროცესზე დაკვირვების საფაკულტეტო მიდგომების ინიცირება.**

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეიმუშავა და ფაკულტეტის საბჭოზე განსახილველად წარადგინა პროექტი „ურთიერთდასწრების გზით სასწავლო პროცესზე დაკვირვების მექანიზმები“. ფაკულტეტის საბჭომ მოიწონა აღნიშნული პროექტი და სთხოვა პროგრამის ხელმძღვანელებს განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოთ პირველი და მეორე კურსის სასწავლო პროცესზე დაკვირვებისათვის. (ფაკულტეტის საბჭოს შესაბამისი დადგენილება თან ერთვის დანართი 3-ის სახით). სამწუხაროდ, მიმდინარე სემესტრში ურთიერთდასწრების გზით სასწავლო პროცესზე დაკვირვების აღნიშნული მექანიზმები არ იქნა ფართოდ გამოყენებული. მომავალ სამუშაოებში ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად გამოიყენებს აღნიშნულ მექანიზმს.

- **კურსდამთავრებულთა გამოკითხვა და დასაქმების ანალიზი, მათ შორის მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად.**

2016 წლის ნოემბერში ჩატარდა 2015-2016 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვა მათი დასაქმების ანალიზის მიზნით, მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად. ამჟამად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუშაობს კურსდამთავრებულთა აკადემიური მოსწრებისა და დასაქმების მონაცემთა შეჯერებაზე, რათა მიიღოს სწორი სურათი და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები.

წარმოდგენილი სამუშაოების გარდა, საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის ხარისხის ზრუნველყოფის სამსახური აქტიურად მონაწილეობდა შემდეგ აქტივობებში:

- აწსუ-ში სტიპენდიების გაცემის წესის მოდერნიზება და შესაბამისი რეკომენდაციების მომზადება.
- 2016 წლის 6 დეკემბერს აწსუ-ში ჩატარებული საჯარო დისკუსიის „საქართველოს გზა ევროპული ბაზრისკენ - პროფესიული უნარები DCFTA-ს კონტექსტში“ შესახებ. რომელიც ჩატარდა ევროკავშირის თანადაფინანსებით მიმდინარე პროექტის „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ ფარგლებში. ორგანიზატორი: GIZ-ის პროგრამა „კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“. ღონისძიების მიზანია საქართველოში პროფესიული განათლებისა და ტრენინგის საჭიროებების შესახებ ცნობიერების გაზრდა ევროკავშირ-საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმებისა (AA) და მისი ნაწილის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) განხორციელების კონტექსტში.
- შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების გზამკვლევის შემუშავება აწსუ-სათვის, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მესამე ბრძანებაში 2016 წელს შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დოკუმენტის „უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებისა და შეფასების პრინციპი“ განხილვები და რეკომენდაციების შემუშავება.

პროფესორი ციცინო თურქაძე

საინჟინრო-ტექნოლოგიური ფაკულტეტის
ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის

2016 სასწავლო წლის ანგარიში

აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, წარმოადგენს რა მართვის ერთ–ერთ უმნიშვნელოვანეს ორგანოს, ფაკულტეტის დეკანთან კოორდინირებული საქმიანობით უზრუნველყოფს საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და პროცედურების, სწავლებისა და კვლევის პროცესების მონიტორინგს, შეფასებას და შესაბამისი რეკომენდაციების მიცემას მონიტორინგის სუბიექტისადმი.

აგრარულ ფაკულტეტზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შეიქმნა შიდა შეფასების (მონიტორინგის) გრაფიკი, რომლის მიხედვითაც სასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდებოდა გეგმით გათვალისწინებული სამუშაოები:(იხ.დანართი 1. აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N3, 3.09.2016).

აგრარულ ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ხუთი დეპარტამენტი:

1. აგრონომიულ მეცნიერებათა დეპარტამენტი;
2. სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტი;
3. ტურიზმისა და ლანდშაფტური არქიტექტურის დეპარტამენტი;
4. აგროინჟინერიის დეპარტამენტი;
5. სუბტროპიკული კულტურების პროდუქტთა ტექნოლოგიის დეპარტამენტი.

სადაც ხორციელდება შემდეგი პროგრამები:

საბაკალავრო:

1. **აგრონომია**, რომელიცმოიცავსორ მოდულს:
   - აგროეკოლოგია;
   - აგროტექნოლოგია;

minor-პროგრამები:1.აგროეკოლოგია;

2. აგროტექნოლოგია;

2. **საბაღო-საპარკო მეურნეობა**

minor-პროგრამა: 1. საბაღო–საპარკო მეურნეობა

3.**აგროინჟინერია**, რომელიცმოიცავსორმოდულს:

- სოფლისმეურნეობისმექანიზაცია;
- სასოფლო–სამეურნეოტვირთებისგადაზიდვა.

minor-პროგრამებს:1. აგროინჟინერია;

2. აგროლოჯისტიკურისისტემები.

4. **აგრონედლეულისკვებისპროდუქტებისტექნოლოგიადაექსპერტიზა**.

minor-პროგრამა – 1.სასურსათოპროდუქტთაექსპერტიზა.

5. ტურიზმი

minor-პროგრამა-ტურიზმი

სამაგისტროპროგრამები:

1. აგროეკოლოგია;
2. სუბტროპიკულიკულტურებისაგროტექნოლოგია;
3. ლანდშაფტურიარქიტექტურა;
4. აგროინჟინერია;
5. სუბტროპიკულიკულტურებისგადამუშავებისტექნოლოგია;
6. ტურიზმი.

სადოქტოროპროგრამები:

1. აგრონომია;
2. აგრონედლეულისგადამუშავებისტექნოლოგიადაექსპერტიზა;
3. აგროინჟინერია.

პროფესიულიპროგრამები:

1. აგროლოჯისტიკისოპერატორი – IVსაფეხური.

1. საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასება და swot-ანალიზის შევსება - წარდგენა.

მიმდინარე საანგარიშო წელს აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით ახორციელებდა საგანმანათლბლო პროგრამების პერიოდულ შეფასებას, მიღებული ინფორმაციისა და მასალების ანალიზის საფუძველზე გასცემდა რეკომენდაციებს საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებასთან დაკავშირებით. შედეგად ფაკულტეტზე მოქმედმა ყველა საფეხურის აკადემიურმა საგანმანათლებლო პროგრამამ განიცადა მოდიფიკაცია, რომელმაც ასახვა ჰპოვა საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებების ანგარიშებში.(აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N 5.13 .09. 2016).

აგრეთვე განხორციელდა:

- ✓ ახალისაგანმანათლებლოპროგრამებისპროგრამულიაკრედიტაციისსტანდარტებთ ანშესაბამისობაშიმოყვანა;საგანმანათლებლო პროგრამების SWOT-ანგარიშების მონიტორინგი, სადაც ასახულია თუ რა ძლიერი და სუსტი მხარეები გააჩნია

საგანმანათლებლო პროგრამებს და რა შესაძლებლობები ან საფრთხეები შეიძლება შეექმნას მოქმედ პროგრამებს განვითარებისათვის.

- ✓ პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების მოწესრიგების კონტროლი;
- ✓ აკადემიური პერსონალის მიერ თვითშეფასების კითხვარის შევსება;
- ✓ პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა და პროგრამის კურსდამთავრებულებზე ბაზრის მოთხოვნის ანალიზი;
- ✓ კვირაში ორჯერ საქმიანი შეხვედრები პროგრამის ხელმძღვანელებთან.

2016-2017 სასწ. წლის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები გადაყვანილ იქნა აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულ ახალ ფორმებში.

ფაკულტეტის ხუსისა და პროგრამის ხელმძღვანელების მიერ ჩატარდა საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის სილაბუსებთან შესაბამისობის მონიტორინგი, რის შემდეგაც გატარდა ხარვეზების აღმოფხვრის ღონისძიებები.

შესაბამისად, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში პროგრამების თვითშეფასების ანგარიშების წარსადგენი მასალების დამუშავებაში, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის პროგრამების განვითარების განყოფილებაში გადასაცემად.

2. დიპლომის დანართებისასწავლო წლის განმავლობაში ხორციელდებოდა დიპლომის დანართების მომზადება კურსდამათავრებულთათვის, სადაც 2016 წელს აგრონომია დაამთავრა 16 სტუდენტმა;საბაღო -საპარკო მეურნეობა დაამთავრა 8 სტუდენტმა; აგროინჟინერია დაამთავრა 9 სტუდენტმა; აგრონედლეულის კვების პროდუქტების ტექნოლოგია და ექსპერტიზა - 7 სტუდენტმა. სულ გამზადდა 40 დიპლომის დანართი.

3. აკადემიური მოსწრება სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელდა შემოდგომისა (აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიN13, 18.03.2016) და საგაზაფხულო (აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიN 7.19.10.2016) სემესტრების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი, კერძოდ შემოწმებული იქნა სასწავლო საგნების მიხედვით უწყისების შევსება–გაფორმების მდგომარეობა და აკადემიური მოსწრება. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გაანალიზა მონაცემები და მიღებულ შედეგებზე დასკვნები წარადგინა დეპარტამენტების სხდომებზე განსახილველად, ხოლო შემდეგ - ფაკულტეტის საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე. განხილვის საგანი გახდა განმეორებითი გამოცდის შედეგებიც. განხილვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში.

4. მობილობააგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის კომისიის მუშაობაში. სამსახურთან შეთანხმებით, დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანებით სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის პროცესის ორგანიზების მიზნით შეიქმნა საფაკულტეტო კომისია დეკანის თავმჯდომარეობით.შიდა და გარე მობილობა განხორციელდა 2015-2016 სასწ. წლის შემოდგომისა (აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N2.5.09.2016); (აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N3.6.09.2016); (აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიN4.7.09.2016); (აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N5.13.09.2016) და გაზაფხულის სემესტრებში(აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიN19.23.06.2016);(აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N1.15.07.2016); ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში. მობილობით გადმოსულ სტუდენტთა განსახილველად წარმოდგენილი განცხადებების შესაბამისი დასკვნები განხილული, დამტკიცებული და წარდგენილი იქნა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მობილობის განყოფილებაში.

5.გამოკითხვები მიმდინარე სემესტრში პროგრამის განხორციელების შეფასების მიზნით ნოემბერში ჩატარდა პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კურსელ სტუდენტთა გამოკითხვა.

კითხვარი ითვალისწინებდა სასწავლო პროცესის, აკადემიური პერსონალის, სწავლების მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების, დეკანატის ფუნქციონირების ხარისხის შეფასებას. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტების სწავლო პროცესის მიმდინარეობით ძირითადად კმაყოფილი არიან, თუმცა იყო რიგი შენიშვნები, კერძოდ მათგამოთქვესმოსაზრება, რომსასურველია: სასწავლო პროცესი დატვირთული იყოს პრაქტიკულად, საველე პირობებში შესასრულებელი სამუშაოებით და ექსკურსიებით;სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის მეცადინეობები აღჭურვილი იყოს თანამედროვე ტექნიკით;სასწავლო კორპუსი უზრუნველყოფილი - გათბობით;კეთილმოეწყოს აუდიტორიები, სპორტული დარბაზი და ეზოს ინფრასტრუქტურა;სტუდენტებისათვისხელმისაწვდომი ინტერნეტით; უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკის ობიექტზე სტუდენტების ტრანსპორტირება. რაც შეეხება ლექტორ - მასწავლებლებს, მათ გამოთქვეს მოსაზრება, რომ აგრარულ

ფაკულტეტს ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, მაგრამ აქვთ გარკვეული მოსაზრებები უცხო ენის პედაგოგების მიმართ, რადგან მათ აქვთ ხარვეზები სასწავლო პროცესთან მიმართებაში. გასულ სასწავლო წელს ჩატარადა სტუდენტთა გამოკითხვა, არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე არაფერი არ შეცვლილა სტუდენტთა საკეთილდღეოდ.

6. 2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში პირველკურსელებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრების ორგანიზების შესახებ.

2016-2017 სასწავლო წელის შემოდგომის სემესტრში პირველკურსელებთან მოეწყო საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები. ფაკულტეტის ტუტორების აქტიური ჩართულობით შემუშავებული იქნა აღნიშნული შეხვედრების გეგმა-გრაფიკი აგრარულ ფაკულტეტზე არსებული პროგრამების მიხედვით, სადაც საშუალება მიეცათ პირველკურსელ სტუდენტებს გამოეთქვათ თავიანთი მოსაზრება სასწავლო პროცესთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოზე დამტკიცებული იქნა აღნიშნული შეხვედრების გეგმა-გრაფიკი.(აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N 5, 5.10.2016)

7. პირველკურსელებთან მეცადინეობის პროცესზე დაკვირვება

2016-2017 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აგრარულ ფაკულტეტზე განხორციელდა პირველკურსელებთან მეცადინეობის პროცესზე დაკვირვება ურთიერთდასწრების სახით; მუშაობის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცა პირველი კურსის მეცადინეობის პროცესზე დაკვირვებას, სადაც ურთიერთდასწრების ჯგუფში ჩართული იყო შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ან დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი; მეცადინეობის პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება ურთიერთდასწრების სახით განხორციელდა 7 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე. შედეგები წარმოდგენილი იქნა მეცადინეობის პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვების ოქმის სახით, რომელიც დამტკიცებული იქნა

ფაკულტეტის საბჭოზე (აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმები N7,19.10.2016; N8.4.11.2016)

პროგრამის ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს პირველკურსელებთან ურთიერთდასწრების ოქმები, სადაც შეაფასეს თითოეული პედაგოგის ძლერი და სუსტი მხარეები. შედეგად გამოიკვეთა, რომ აგრარულ ფაკულტეტს ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული სპეციალისტები. სტუდენტთა გამოკითხვების შედეგებიდან გამომდინარე, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა უცხო ენის პედაგოგებზე, კერძოდ ციბაძე თინათინი, ირემაძე მაია, ჭიჭინაძე თალალე, ავალიშვილი ირმა, ჯაბუა მელანო. უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტები აქტიურად არიან ჩართული მეცადინეობის პროცესში, გამოიკვეთა რომ, პედაგოგებისვავენ შეკითხვებს იყენებენ სილაბუსით გათვალისწინებულ მეთოდებს, იძლევიან ამომწურავ განმარტებებს და დროს იყენებენ ეფექტურად.

8. ტუტორები;აგრარულ ფაკულტეტზე ფუნქციონირებს ტუტორთა ინსტიტუტი, სადაც ჩართული არიან მეორე, მესამე და მეოთხე კურსის სტუდენტები. ტუტორები ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებს უწევენ კონსულტაციებს, რომლის მიზანია სტუდენტების ჩართვა უნივერსიტეტის და ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში.

ისინი მონაწილეობას ღებულობენ ფაკულტეტის შემდეგ ღონისძიებებში:

1. პირველკურსელ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

2. ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირება.

3. მონაწილეობის მიღება სტუდენტებისათვის კითხვარების შემუშავებასა და გამოკითხვაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.

აგრარულ ფაკულტეტის ტუტორებს 2016 წელს აქტიური მუშაობისათვის უნივერსიტეტის ხუს-მა გადასცა სერთიფიკატები რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩრთული ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში ესენია: შაშიაშვილი დავითი, ქაშაკაშვილი ანა, ხვედელიძე ქეთევანი, გიორგაძე ლამარა, ჭუმბაძე ნინო.

9. ჟურნალი აგრარულ ფაკულტეტზე ხუსის ხელშეწყობით დაარსდა პერიოდული სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „აგროNEWS“, რომლის პრეზენტაცია ჩატარდა

5.04.2016წ. ჩატარდა ახალგაზრდა აგრარიკოსთა კონფერენცია; სადაც მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის მაგისტრანტებმა და დოქტორანტებმა.

10. ტრენინგები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მთელი წლის განმავლობაში ხელს უწყობდა აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების პროცესს, რაც გამოიხატებოდა იმით, რომ სამსახურის უფროსის თანადგომითა და მოტივაციით აკადემიურმა პერსონალმა მონაწილეობა მიიღო სხვადასხვა ტრენინგებსა და სემინარებში(ჩეხურ პროექტში, რომელიც აგრარული მიმართულებით ხორციელდებოდა). სადაც მონაწილობას ღებულობდა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები, რომელიც მოიცავდა რამოდენიმე ეტაპს. ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ დაფიქსირებულია საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებების ანგარიშებში.

15.09 2016წ. აწსუ-ში პრაღის სიცოცხლის შემსწავლელი უნივერსიტეტის ექსპერტმა მიშელ კოლარიკოვამ აგრარული ფაკულტეტის თამანშრომლებისათვის მორიგი სემინარი „Know-how-სგაზიარება - პრაქტიკის ობიექტებთან თანამშრომლობა“ ჩაატარა. Seminar: Transfer know-how on cooperation with practice within the project Enhancement of Capacity of Academic and Management Staff at Akaki Tsereteli State University (Georgia) funded by Development Cooperation of the Czech Republic. The seminar was conducted by the lecturer from Czech University of Life Sciences Prague Michel Kolarikova

. 27.09.2016 ჩატარდა ტრენინგი ჩეხური პროექტის ფარგლებში სწავლის მეთოდებთან დაკავშირებით

16.12 2016 ჩატარდა ტრენინგი ჩეხური პროექტის ფარგლებში სამეცნიერო სტატიების აბსტრაქტების შექმნასთან დაკავშირებით.



6.12.2016 უწყვეტი განათლების ცენტრში ჩატარდა სამუშაო შეხვედრა პროექტის „მდგრადიტურიზმი: მეწარმეობა სოფლად და მემკვიდრეობა. თანამშრომლობა საგანმანათლებლო სფეროში საქართველოს, ყირგიზეთსა და ნორვეგიას შორის“ ფარგლებში. აწსუ-ს სამი დღე სტუმრობდნენ კოლეგები ნორვეგიიდან გაიმართა შეხვედრები ტურიზმის მიმართულების პროფესორ-მასწავლებლებთან, უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან და აგრარულ ფაკულტეტთან. პროექტის ფარგლებში განხორციელებული შეხვედრების დროს ნორვეგიაში მობილობისთვის და ყირგიზეთში საერთაშორისო ზაფხულის სკოლისთვის შეირჩნენ ტურიზმისს პეციალობის სამაგისტრო დ ასაბაკალავრო პროგრამის წარმატებული სტუდენტები. გაიმართა შეხვედრა საგარეოურთიერთობებისა და განვითარების სამსახურთან და მოეწყო გასვლითი ტური „სოფლად ტურიზმის ობიექტები იმერეთში“ ფარგლებში.

საერთაშორისო პროექტის ფარგლებში კონსულტაციების და ტრეინინგების ცენტრმა
ჩაატარა ტრენინგები თემებზე:
1.ზრდასრულთა სწავლების მეთოდები რომელიც ჩატარდა 2016 წ 23-25 თებერვალს და 15-17 მარტს. ტრენინგს ესწრებოდნენ აგრარული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამასახურის უფროსი ასოცირებული პროფესორი მარიეტა თაბაგარი

და აგროინჟინერიის დეპარტამეტის ასოცირებული პროფესორი ემზარ კილასონია, რომლის დისიმინაცია ფაკულტეტზე განახორციელა ასოცირებულმა პროფესორმა ემზარ კილასონიამ, 2016 წ 15 აპრილს.

2.“გამოყენებითი კვლევა სასწავლო დაწესებულების მართვაში”, რომელიც ჩატარდა 2016 წ 25-27 თებერვალს, ესწრებოდნენ აგრარული ფაკულტეტის დეკანი პროფესორი ქეთევან კინწურაშვილი და აგრარული ფაკულტეტის დეკანის მოადგილეასოცირებული პროფესორი იზოლდა ხასაია. 2016 წ 22 აპრილს ტრენინგის დისიმინაცია ფაკულტეტზე განახორციელა ასოცირებულმა პროფესორმა იზოლდა ხასაიამ.

აწსუ-ს ხუსის სამსახურმა ჩაატარა ტრენინგები: 1. ხარისხის კულტურა და ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი, 2. ცოდნის მენეჯმენტი აკადემიურ სივრცეში; 3. საუნივერსიტეტო ცოდნის ანლიზი, კურსის მონიტორინგი და ევროპული სტანდარტები; 4. განათლება მდგრადი განვითარებისათვის, სადაც მონაწილეობა მიიღო აგრარული ფაკულტეტის აკადემიურმა პერსონალმა და გადაეცათ შესაბამისი სერთიფიკატები.

11.საგრანტო პროექტები. ფაკულტეტზე ხორციელდება საგრანტო პროექტები და სამეცნიერო - კვლევითი სამუშაოები. სასწავლო წლის ბოლოს წარმოდგენილი იქნება დეპარტამენტების მიერ აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კვლევითი მუშაობის ანგარიში, რასაც ხარისხის სამსახური გაუწევს მონიტორინგს.

აგრარული ფაკულტეტის სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის აკადემიურმა პერსონალმა 7.11.2016-დან 11.11.2016-ის ჩათვლით მონაწილეობა მიიღო საგრანტო

პროექტში №1220, 21.10.2016, რომლის ხელმძღვანელი იყო სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის ასისტენტ პროფესორი შორენა კაპანაძე.პროექტისფარგლებშიშეხვედრები შედგა(ქ. განჯა)აზერბაიჯანის სახელმწიფო აგრარულ უნივერსიტეტში, რომლის მიზანი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გაუმჯობესებისა და განხორციელების მიზნით უცხოეთში აპრობირებული და დანერგილი უახლესი აგროტექნოლოგიური მეთოდების ადგილზე გაცნობა.

აზერბაიჯანის სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ მოაწყო საქმიანი შეხვედრა, სადაც გამოყოფილი იქნა პროფესორები, რომლებმაც შემდგომში თავიანთი კათედრების მიხედვით გაგვაცნეს მათი მუშაობის სპეციფიკა, გვესაუბრნენ თავიანთი სამეცნიერო კვლევების შესახებ, დაიგეგმა ერთობლივი კვლევები, მოვისმინეთ სემინარები ხეხილის თანამედროვე აგროტექნოლოგიის საკითხებზე. გავეცანით ნიადაგისა და გარემოს ეკოლოგიური მონიტორინგის ლაბორატორია, მარცვლოვან კულტურათა ლაბორატორია, სუბტროპიკული კულტურების, ბოსტნეული კულტურების და ხეხილის გენოფონდის შექმნისა და მოვლა–მოყვანის ტექნოლოგიისა და სხვა ლაბორატორიები.

22 12.2016 წ. აწსუ აგრარულ ფაკულტეტზე ჩატარდა კონფერენცია აღნიშნული გრანტის ფარგლებში შედეგების გასაანალიზებლად. გამოიცა ბუკლეტი

12.შეხვედრა დამსაქმებლებთან. 15.12. 2016 წ. ჩეხური პროექტის ფარგლებში მოეწყო შეხვედრა დამსაქმებლებთან, სადაც მონაწილეობა მიიღო აგრარული ფაკულტეტის სტუდენტებმა და წარმოდგენილი იყვნენ პოტენციური დამსაქმებლები:

შპს „ნემო კაკუშაძე“ - სანერგე მეურნეობა;
ქუთაისის ბოტანიკური ბაღი;

ფონდი „აფხაზინტერკონტინენტალი“;
ტურისტული სააგენტო „ვანდერლენდი“;
შპს „ვერძი“;
შპს „ადინა“;
შპს „ტრაქტორსერვისი“
ბიზნესინკუპატორი;
წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, გეგუთი. Flora West

13. მიმდინარე სასწავლო წელს აგრარული ფაკულტეტის პერსონალის მიერ პროგრამული მიმართულებების მიხედვით განხორციელებული იქნა სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა, რომელიც მუდმივად იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყურადრების ქვეშ. კერძოდ, პერიოდულად ხდებოდა მიმდინარე ანგარიშების განხილვა დეპარტამენტის სხდომებზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მონაწილეობით, ხოლო 2016 წელს ჩატარებულ მუშაობაზე მათ მიერ საბოლოო ანგარიში, ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმის შესაბამისად წარმოდგენილი იქნა 2016 წლის დეკემბრის შუა რიცხვებში. აღნიშნული ანგარიშები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მიერ გატანილი იქნა ფაკულტეტის საბჭოზე დასამტკიცებლად და უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრში წარსადგენად. (იხ. დანართი 15 აგრარული ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმი N11 9.01 2017)

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის

სამსახურის

2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხისუზრუნველყოფის

სამსახურისხელ-ლი: ასოც. პროფესორი მანანა ფხაკაძე

საქართველოს უმაღლესი გაანთლების სისტემაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური შექმნილია სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, ასევე აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასებისა და ამაღლების მიზნით. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც აღნიშნული მიმართულებებით აწარმოებს საქმიანობას.

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული სამუშაო მოიცავს ორ სასწავლო სემესტრს - 2015-2016 სასწავლო წლის საგაზაფხულო სემესტრს და 2016-2017 სასწავლო წლის საშემოდგომო სემესტრს (დანართი 1,2).

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თავის საქმიანობას ახორციელებს ციკლური პროცესის სახით, რომელიც მოიცავს ოთხ ძირითად ურთიერთდაკავშირებულ ელემენტს: დაგეგმვა, განხორციელება, შეფასება და გაუმჯობესება (Planning, Implementing, Reviewing and Improving - PIRI).

ფაკულტეტზე ხორციელდება შემდეგი პროგრამები:

-საბაკალავრო: „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“;

-პროფესიული: „მცირე ბიზნესის მწარმოებელი“, IV საფეხური.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სამუშაო გეგმის შესაბამისად გაწეული იქნა შემდეგი სამუშაო:

- განხორციელდა საბაკალავრო პროგრამის „საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტი“ თვითშეფასების ყოველწლიური წარდგენა და რევიზია. აქტიური მუშაობა იქნა გაწეული პროგრამის მოდერნიზების და გაუმჯობესების საკითხებზე **უცხო ენების** დონეების მიხედვით სწავლების თაობაზე. მოდერნიზებული პროგრამა დამტკიცებული იქნა აწსუ აკადემიური საბჭოს მიერ.
- გაკეთდა პროგრამის SWOT ანალიზი: გამოიკვეთა პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები, განვითარების შესაძლებლობები და განხორციელების რისკები.

- პროგრამების შუალედური მონიტორინგის ფარგლებში მოხდა ფაკულტეტზე მოქმედ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის პირადი საქმეების ელექტრონული ვერსიების შექმნა-განახლება.

- სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით მარტში და დეკემბერში ჩატარდა სტუდენტთა გამოკითხვა. კითხვარი ითვალისწინებდა სასწავლო პროცესის, აკადემიური პერსონალის, სწავლების მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების, დეკანატის ფუნქციონირების ხარისხის შეფასებას. გამოკითხვის შედეგებმა აჩვენა, რომ სტუდენტები სასწავლო პროცესის მიმდინარეობით კმაყოფილი არიან, შენიშვნები გამოთქვეს მოძველებული კომპიუტერული კლასით სარგებლობასთან დაკავშირებით. საკითხი განხილული იქნა ფაკულტეტის აკადემიურ საბჭოზე. საბჭომ გადაწყვიტა ფაკულტეტისათვის ახალი კომპიუტერების გამოყოფის თაობაზე ადმინისტრაციის ხელმძღვანელისთვის მიმართვა. ნოემბრის თვეში ფაკულტეტს უკვე გამოეყო 13 ახალი კომპიუტერი.

- სასწავლო პორცესის უმთავრეს შედეგს და შესაბამისად, მის ყველაზე უფრო ფართოდ აღიარებულ ინდიკატორს სტუდენტების აკადემიური მოსწრება წარმოადგენს. სემესტრის ბოლოს ვატარებთ აკადემიური მოსწრების ანალიზს. სტუდენტების ერთი და იგივე ჯგუფის მიერ სხვადასხვა დისციპლინებში მიღებული შეფასებების შედარებითმა ანალიზმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში ჯგუფს ერთ საგანში კარგი მოსწრება აქვს, მაშინ როცა ისეთ საგნებში, რომელშიც მათემატიკური ლოგიკაა საჭირო- დაბალი მოსწრება. რაც განპირობებულია ცალკეული კურსების სირთულით და შესაბმისად სტუდენტების მომზადების დონით.

- აკადემიური პერსონალის მიერ მოხდა თვითშეფასების კითხვარის შევსება. შეფასებული იქნა პედაგოგიური საქმიანობა, გამოიკვეთა პრობლემები, რომლებიც ხელს უშლის სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვას, გამოტანილი იქნა დასკვნები.

- აკადემიური პერსონალის პედაგოგიური გამოცდილების გაზიარებისა და სწავლების კომპეტენციის (პედაგოგიური და დარგობრივი ასპექტების) შეფასებისათვის ვიყენეთ ლექციებზე ურთიერთდასწრების მექანიზმებს შედგენილი ურთიერთდასწრების გრაფიკის შესაბამისად. ურთიერთდასწრების ჯგუფში ჩართული იყო შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელი ან დარგობრივი დეპარტამენტის წარმომადგენელი; მეცადინეობის პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება ურთიერთდასწრების სახით განხორციელდა 7 ნოემბრიდან 25 დეკემბრამდე. შედეგები წარმოდგენილი იქნა მეცადინეობის პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვების ოქმის სახით, რომლის ფორმაც დამტკიცებული იქნა ფაკულტეტის საბჭოზე.

აქ ვითვალისწინებთ ლექტორის მიერ სწავლებისა და შეფასების ადეკვატური მეთოდების შერჩევას, კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას. თუ რამდენად შეუძლია მასწავლებელს სტუდენტების მოტივირება, მოცემული საგნით მათი დაინტერესება, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია, სტუდენტების სამართლიანი შეფასება და სხვა;

ყურადღება გამახვილდა : სასწავლო პროცესის რაციონალურად დაგეგმვაზე; სწავლების მეთოდების, შეფასების კრიტერიუმების და სწავლის შედეგების შეთანწყობაზე; ლექციის ჩატარების ხელშემწყობი ტექნიკური საშუალებების გამოყენებაზე; რამდენად შეუძლია მასწავლებელს სტუდენტის მოტივირება კონკრეტული საგნით, სტუდენტებთან ეფექტური კომუნიკაცია.

პროგრამის ხელმძღვანელებმა წარმოადგინეს პირველკურსელებთან ურთიერთდასწრების ოქმები, სადაც შეაფასეს თითოეული პედაგოგის ძლერი და სუსტი მხარეები. შედეგად გამოიკვეთა, რომ ფაკულტეტს ემსახურება მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული სპეციალისტები.

- არანაკლები მნიშვნელობისაა აკადემიური პერსონალის სამეცნიერო კომპეტენცია და სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში. რაც გამოიხატება აკადემიური პერსონალის საგრანტო პროექტებში მონაწილეობით, გამოცემული სახელმძღვანელოებით, მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული სამეცნიერო სტატიებით, საერთაშორისო თუ ადგილობრივი

მნიშვნელობის სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობით თუ საგამომგონებლო საქმიანობით, რაც თავის მხრივ ასახვას ჰპოვებს მასწავლებელთა ყოველწლიურ სამეცნიერო დატვირთვების ანალიზში.

ფაკულტეტზე სამეცნიერო–კვლევითი საქმიანობა მუდმივად იყო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ყურადრების ქვეშ. კერძოდ, პერიოდულად ხდებოდა მიმდინარე ანგარიშების განხილვა დეპარტამენტის სხდომებზე. ხარისხის სამსახურის მიერ შეჯამდა ფაკულტეტის სამეცნიერო მუშაობის ანგარიში, რომელიც დამტკიცებული იქნა საბჭოს სხდომაზე და მიეწოდა უნივერსიტეტის სამეცნიერო ცენტრს.

ფაკულტეტის სტუდენტებმა 10 მოხსენება წარადგინეს ა.წ. 10 მაისს ჩატარებულ საუნივერსიტეტო სტუდენტთა XXVI სამეცნიერო კონფერენციაზე ფაკულტეტის შემდეგ პროფესორ მასწავლებელთა ხელმძღვანელობით: ა.ბრეგვაძე, ვ.გოგაძე, მ.ფხაკაძე, ლ.ხარბედია. საინტერესო თემების წარმომდგენი სტუდენტები დაჯილდოვდნენ სიგელებით.

დაჯილდოვებული სტუდენტებია: I კურსის სტუდენტი გ.მელიავა თემისათვის „ცხოვრების დონის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები“(ხელ.ლი ლ.ხარბედია); II კურსის სტუდენტები პ.წურწუმია თემისათვის „ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების თავისებურებანი“ (ხელ-ლი ასოც.პროფესორი მ.ფხაკაძე) I და მ.გელაშვილი თემისათვის „სატრანსპორტო ტერმინალების ლოგისტიკის მართვის პროცესები“ (ხელ.ლი ასოც.პროფესორი ვ.გოგაძე).

2 სტუდენტი კი არის საავტორო მოწმობაზე საქპატენტში წარდგენილი განაცხადის თანაავტორი;

- ფაკულტეტის ხარისხის ზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა საუნივერსიტეტო მასშტაბით დაგეგმილ ტრენინგებსა და სემინარებში;

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ორგანიზებით, საერთაშორისო პროექტის ფარგლებში კონსულტაციების და

ტრეინინგების ცენტრის - CTC მიერ 23.02.2016-25.02.2016 ჩატარებულ ტრენინგებში მონაწილეობა მიიღეს ფაკულტეტის თანამშრომლებმა:

ა). ზრდასრულთა სწავლების მეთოდებზე:

1. ლალი ხარბედია, ასოცირებული პროფესორი.

2. ამირან ბრეგვაძე, ასოცირებული პროფესორი.

ბ). გამოყენებითი კვლევა სასწავლო დაწესებულების მართვაში:

1. მანანა ფხაკაძე, ასოცირებული პროფესორი, ფაკ.ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელ.ლი.

19 აპრილს ტრენინგის მონაწილე პერსონალის მიერ ჩატარდა ამ ტრენინგების დისემინაცია ფაკულტეტზე.

- უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისათვის ჩატარდა ტრენინგები ოთხი მიმართულებით, რომლებშიც საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის შემდეგმა აკადემიურმა პერსონალმა მიიღო მონაწილეობა:

- ცოდნის მენეჯმენტი აკადემიურ სივრცეში- ბადრი დავითაია, ამირან უგულავა (1 ივნისი 3 საათი);

- ხარისხის კულტურა და ხარისხის გაუმჯობესების უწყვეტი პროცესი- მანანა ფხაკაძე, ლალი ხარბედია, მზისადარ ბჟალავა(7 ივნისი, 3სთ);

-განათლება მდგრადი განვითარებისთვის - ზურაბ არქანია, თენგია ჭანტურია, ვაჟა გოგაძემ (14 ივნისი 3 საათი);

- საუნივერსიტეტო ცოდნის ანალიზი, კურსის მონიტორინგი და ევროპული სტანდარტები -მანანა ფხაკაძე, ამირან ბრეგვაძე (21 ივნისი, 3სთ).

- 29 მარტს ერაზმუს + ოფისის მიერ 29 მარტის 12 სთ-ზე ჩატარდა ანტიპლაგიატთან დაკავშირებული ღონისძიება. ღონისძიებაში მონაწილეობის მისაღებად ფაკულტეტის ხუს-ის მიერ წარდგენილი იქნა ასოც.პროფესორი ვაჟა გოგაძე.

- ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შექმნილია კურსდამთავრებულების მონაცემთა ბაზა და ჩატარებული იქნა მათი გამოკითხვა. საზღვაო ტრანსპორტის მენეჯმენტის“ საგანმანათლებლო პროგრამამ პირველი კურსდამთავრებული 2014-2015 წლებში გამოუშვა. მათი საერთო რაოდენობაა 60. პერიოდულად ზუსტდება საერთო დასაქმებულთა და მათ შორის სპეციალობით დასაქმებულთა რიცხვი.

გამოკითხვის პროცესში დაკავშირება მოხერხდა 43 რესპოდენტთან. ვერ მოხერხდა 17-თან დაკავშირება. გამოკითხულ კურსდამთავრებულთაგან ამჟამად მინიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი სპეციალობით მუშაობს 17, მონათესავე სპეციალობით-11, თვითდასაქმებულია-10, მაგისტრატურაში გააგრძელა სწავლა -2, არ მუშაობს 4;

- საზაფხულო მობილობისა და აღდგენების პროცესის ხელშეწყობა-მონიტორინგის კუთხით ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურად იყო ჩართული სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის კომისიის მუშაობაში. დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანებით სტუდენტთა მობილობისა და აღდგენის პროცესის ორგანიზების მიზნით შეიქმნა საფაკულტეტო კომისია დეკანის თავმჯდომარეობით. შიდა და გარე მობილობა განხორციელდა ცენტრის დირექტორის მიერ დადგენილ ვადებში. მობილობით გადმოსულ სტუდენტთა განსახილველად წარმოდგენილი განცხადებების შესაბამისი დასკვნები განხილული, დამტკიცებული და წარდგენილი იქნა საუნივერსიტეტო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მობილობის განყოფილებაში.

საგაზაფხულო გარე მობილობით საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხა 12 სტუდენტი, შიგა მობილობით- 8 სტუდენტი. საშემოდგომო გარე მობილობით საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხა 16 სტუდენტი, შიგა მობილობით- 9 სტუდენტი.

- საბაკალავრო პროგრამაში დამსაქმებელთა მოსაზრებების გათვალისწინების მიზნით შევადგინეთ კითხვარი, რომლის მიზანია: თანამედროვე გადამზიდავ ორგანიზაციაში ძირითადი მოთხოვნადი კვალიფიკაციების დადგენა;

სირთულეები, რომლებსაც აწყდებიან შრომის ბაზარზე ადამიანური რესურსების მოძიებისას; მომავალი სპეციალისტების სასურველი უნარ-ჩვევების ფლობა და ა.შ.

- 2015 წლიდან აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეიქმნა ტუტორების ინსტიტუტი, რომლის მიზანია სტუდენტის აქტიური ჩაბმა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში. ტუტორებს რეგულარულად ხვდება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველოფის სამსახური და უზრუნველყოფენ საერთო სტრატეგიის შემუშავებას და განხორციელებას.

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტზე ტუტორები არიან:

1. ირემაძე ნინო. პირადი ნომერი: 61004069440. ჯგუფი B 1209.

ტელ.: 593 53 33 82

2. კვირკაშვილი ირინა. პირადი ნომერი: 49001015269. ჯგუფი B 1209.

ტელ.: 598 77 33 57

3. წურწუმია პავლე. პირადი ნომერი: 62702011852. ჯგუფი B 1309.

ტელ.: 577 60 86 92

4. გელაშვილი მარიამი. პირადი ნომერი: 11001028837. ჯგუფი B 1309.

ტელ.: 557 33 06 32

5. მანაგაძე თეონა. პირადი ნომერი: 55001028952. ჯგუფი: B 1209;

ტელ. : 598744171

6.კურცხალიძე ირინა. პირადი ნომერი: 61001074452. ჯგუფი B 1209.

ტელ.: 557274720

ტუტორები ჩართული არიან ფაკულტეტის შემდეგ ღონისძიებებში:

1. პირველკურსელ სტუდენტებთან სასწავლო პროცესის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.;

2. ფაკულტეტზე მობილობის წესით გადმოსულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში ინტეგრირება;

3. მონაწილეობის მიღება სტუდენტებისათვის კითხვარების შემუშავებასა და გამოკითხვაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა 2016 წელს აქტიური მუშაობისათვის ფაკულტეტის ტუტორებს კურცხალიძე ირინას, მანაგაძე თეონასა და კვირკაშვილ ირინას ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო და შემოქმედებით მუშაობაში აქტიურობისთვის გადასცა სერთიფიკატები.

- ეწყობა შეხვედრები პირველკურსელებთან, რომლის მიზანია: პროგრამების, საკრედიტო სისტემის, შეფასების სისტემების პრეზენტაცია და სასწავლო პროცესის მართვის სისტემის გაცნობა;
- ეწყობა შეხვედრები მობილობით ჩარიცხულ სტუდენტებთან. ვაცნობთ პროგრამას, შეფასების სისტემას, სასწავლო პროცესს, უნივერსიტეტის როგორც მატერიალურ, ისე ადამიანურ რესურსებს;
- ხდება საგანმანათლებლო პროგრამების პროგრამული აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა;
- ფაკულტეტის ფარგლებში ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ღონისძიებების განხორციელებისთვის ხელის შეწყობა;
- სავალდებულო და არჩევითი დისციპლინების სილაბუსების პერიოდული განხილვა და მათი აკადემიური შეფასება;
- სილაბუსებში წარმოდგენილი ლიტერატურის საბიბლიოთეკო ფონდთან შესაბამისობის მონიტორინგი;
- განსაკუთრებული ხელშეწყობა სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ მუშაობაში, კერძოდ, ფაკულტეტის კომპიუტერული კლასით სარგებლობაზე;
- დამამთავრებელი კურსის სტუდენტების დიპლომის დანართების შევსებაზე პროცესის მონიტორინგი;
- მობილობისა და აღდგენის პროცესის ხელშეწყობა-მონიტორინგი;
- პოტენციური დამსაქმებლების გამოკითხვა და პროგრამის კურსდამთავრებულებზე ბაზრის მოთხოვნის ანალიზი;
- რეგულარულად აფასებს უნივერსიტეტში მიმდინარე სასწავლო და სამეცნიერო პროცესებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს; პედაგოგის სამეცნიერო

კომპეტენცია ასახვას პოულობს ყოველწლიურ სამეცნიერო დატვირთვების ანალიზში;

- საგანამანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების ახალ ფორმაში გადატანა;
- მუშაობა სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამის შექმნაზე;
- ეწყობა შეხვედრები სკოლის მოსწავლეებთან;
- მომზადებულია ელექტრონული სალექციო კურსები კურიკულუმით განსაზღვრულ საგანთა უმრავლეობაში;
- ინტერნეტი ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის;

ფაკულტეტის ხარისხის ზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობდა შემდეგ აქტივობებში:

- პროფესიული პროგრამების განვითარების სტრატეგიული გეგმის შემუშავება;
- კვალიფიკაციათა ეროვნული ჩარჩოს ახალი სამუშაო ვარიანტის განხილვა;
- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დოკუმენტის „უსდ-ს ავტორიზაციის სტანდარტებისა და შეფასების პრინციპი“ განხილვები და რეკომენდაციების შემუშავება;
- სტიპენდიების განაწილების ანალიზი კურსებისა და ჯგუფების მიხედვით.

საზღვაო-სატრანსპორტო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელ-ლი, ასოცირებული პროფესორი მ.ფხაკაძე

უნივერსიტეტში განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ყოველდღიური საქმიანობა და უნივერსიტეტში მოღვაწე ყველა პირის პასუხისმგებლობაა.

მნიშვნელოვანია, რომ აწსუ-ს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განხორციელებაში ეფექტურად იყოს ჩართული ყველა რგოლი.

წარმატებები მხოლოდ ერთობლივი მუშაობითა და ძალისხმევით მიიღწევა.

აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური

2017-2018 წლის აქცენტები:

- უნივერსიტეტის ავტორიზაციისა და პროგრამული აკრედიტაციისათვის მზადება;
- სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების დაგეგმვა და გატარება;
- სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის განვითარება;
- სამეცნიერო კვლევების სასწავლო პროცესში ინტეგრირების ხელშეწყობა;
- ინტერნაციონალიზაცია;
- პროფესიული განათლების განვითარება და ხარისხის უზრუნველყოფა.

ანგარიშის მომზადებაზე მუშაობდნენ:
ირმა გრძელიძე, ციცინო თურქაძე,
ნატო ალავიძე, ლალი ჩირგაძე